ახალგაზრდა კომუნისტი

შაბათი,
3 თებერვალი,
1990 წ.
№ 14 (11590)

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

«АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ» — ОРГАН ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

[illegible]
გამოდის 1921 წლის 13 აგვისტოდან
ფასი 3 კაპ.

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქუჩა № 14 ([illegible] ქუჩიდან) ტელეფონები: [illegible] — 93-97-31, [illegible] განყოფილება — 93-38-52, სამდივნო — 93-31-56

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის რიგგარეშე ყრილობისათვის

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შექმნილმა კომისიამ, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომკავშირის წესდების, პროგრამისა და პლატფორმის საკითხებზე, მრავალი ორგანიზაციის თუ ცალკეული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი განიხილა. შესწავლილი მასალების მიხედვით, კომკავშირელები თვლიან, რომ საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციის არსებული სტრუქტურა და საწესდებო დოკუმენტები არაქმედითუნარიანია საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე. ამავე დროს, გამოიკვეთა რამდენიმე პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისი ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაციის მომავალ სახესთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩვენი კავშირის **სტატუსის, პლატფორმისა** და **სახელწოდების** საკითხებზე.

კომისიამ საჭიროდ ჩათვალა, განსახილველად წარმოგვედგინა ყველა პრინციპულად განსხვავებული მოსაზრება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

1. სტატუსის შესახებ:

ა) საქართველოს კომკავშირი არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია და ხელშეკრულების საფუძველზე ითანამშრომლებს საკავშირო ალკკ-ს შემადგენლობაში — საკუთარ პროგრამასა და წესდებაზე დაყრდნობით, რაც პრინციპულად არ ეწინააღმდეგება საკავშირო ალკკ წესდებას.

ბ) საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

2. პლატფორმის შესახებ:

ა) დგას საქართველოს კომპარტიასთან ერთიან პლატფორმაზე.

ბ) იზიარებს საქართველოს კომპარტიის ეროვნული განვითარების კონცეფციას.

გ) აქვს დამოუკიდებელი პლატფორმა.

3. სახელწოდების შესახებ:

ა) საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

ბ) საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირი.

გთავაზობთ ჩვენი ორგანიზაციის წესდებისა და პროგრამის ალტერნატიულ ვარიანტებსა და პროექტებს. იმის გამო, რომ არსებობს სახელწოდებათა სხვადასხვა ვარიანტი, პირობითად, ორგანიზაციას **საქართველოს ახალგაზრდობის კავშირს** ვუწოდებთ.

რაც შეეხება ზემოთჩამოთვლილ საკითხებს, ვფიქრობთ, საქართველოს კომკავშირის რიგგარეშე ყრილობაზე თითოეული კომკავშირელის, დელეგატის პოზიციების შეჯერების შედეგად შესაძლებელი გახდება დემოკრატიული გზით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

წესდება

პროექტი — 1

1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი წარმოადგენს რესპუბლიკის ახალგაზრდობის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს საქართველოს მოქალაქეებს და მიისწრაფვის საქართველოს ახალგაზრდობის კონსოლიდაციისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, საზოგადოების განუწყვეტელი დემოკრატიული განვითარებისაკენ.

2. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი მასობრივი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციაა, იგი ორგანიზაციულად სრულად დამოუკიდებელია და ყველა პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხს წყვეტს დემოკრატიულად ძირეული ორგანიზაციებიდან ცენტრალური კომიტეტის ჩათვლით ხმათა უმრავლესობის საფუძველზე.

3. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი შედის საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირში ორგანიზაცია-წევრის უფლებით, ითვალისწინებს მის გადაწყვეტილებებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებას და პროგრამას.

4. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს თავისი პროგრამითა და წესდებით.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის

წევრები, მათი მოვალეობები და უფლებები

1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრი მოვალეა: იყოს საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე 16-დან 30 წლის ასაკის ჩათვლით, რომელიც აღიარებს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებას და პროგრამას, იხდის საწევრო გადასახადს, მონაწილეობს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების განხორციელებაში. აგრეთვე ნების მიერ პირს 14 წ. ასაკიდან, რომელიც გამოთქვამს სურვილს იყოს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრი.

2. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრი მოვალეა.

ა) იზრუნოს თავისი ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

ბ) უფრთხილდებოდეს, ზრუნავდეს და ამრავლებდეს რესპუბლიკის საერთო სახალხო დოვლათს,

გ) გადაიხადოს საწევრო გადასახადი, დ) იბრძოდეს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პროგრამის განხორციელებისათვის, თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით არ არღვევდეს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებას.

ე) აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში.

ზ) სწავლობდეს სამშობლოს ისტორიას, იყოს საქართველოს პატრიოტი.

ი) არ დაამციროს, არ შეურაცხყოს არავინ რასობრივი ნიშნის, ეროვნების, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიის გამო.

3. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრს უფლება აქვს:

ა) წარადგინოს, აირჩიოს და არჩეული იქნას ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში.

ბ) საჯაროდ განაცხადოს და დაიცვას თავისი აზრი.

გ) განიხილავდეს კავშირის მუშაობის საკითხებს კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, აკრიტიკებდეს კავშირის ნების მიერ წევრს, მიუხედავად იმისა თუ რა თანამდებობა უკავია მას.

დ) მიმართოს განცხადებებითა და წინადადებებით კავშირის ყველა უმაღლეს ორგანოს და მიიღოს გადამწყვეტი პასუხი.

ე) მიმართოს კავშირის პირველად ორგანიზაციას კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად რეკომენდაციის გაწევის გარეშე.

ვ) შეიძლება გაერთიანებულ იქნას სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და მოძრაობებში, რომელთა მოღვაწეობის პრინციპი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებისა და პროგრამის ძირითად დებულებებს.

ზ) გამოიყენოს კავშირის მატერიალური ბაზა, დოკუმენტაცია, სხვადასხვა წყაროები და ინფორმაციები.

თ) თავისუფლად გამოვიდეს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის რიგებიდან პირადი განცხადების საფუძველზე და დააბრუნოს კავშირის ბილეთი (ან დოკუმენტი).

4. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირში მიღება:

ა) წარმოებს ინდივიდუალური წესით ნებაყოფლობითი პრინციპების დაცვით პირადი განცხადების საფუძველზე.

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის რიგებში შემსვლელნი წარმოადგენენ რეკომენდაციებს სულ მცირე, ერთი წლის სტაჟის მქონე ორი წევრის ან რეკომენდაციას ერთი სკკპ წევრისაგან, რომლებიც რეკომენდირებულს იცნობენ არანაკლებ 6 თვის ერთობლივი სწავლით, შრომითი საქმიანობით, საზოგადოებრივი მუშაობით.

ბ) საქართველოს ახალგაზრდობის კავშირში მიღების საკითხს განიხილავს და წყვეტს პირველადი ან პირველადის უფლების მქონე ორგანიზაციის საერთო კრება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა კრებაზე დამსწრე კავშირის წევრთა სულ მცირე ორმა მესამედმა. პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილების საფუძველზე კავშირის რაიონული ან საქალაქო კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას ახალმიღებული წევრისათვის ბილეთის გადაცემის შესახებ.

გ) საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრთა სტაჟი ითვლება ორგანიზაციის კრების მიერ წევრად მათი მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრი ვალდებულია გაუფრთხილდეს ბილეთს.

5. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრის განცხადების საფუძველზე კავშირის რიგებში ყოფნა შეიძლება გახანგრძლივდეს პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ორ წლამდე ვადით.

ა) 30 წლის ასაკს მიღწეული კავშირის წევრები გადიან კავშირიდან, თუ ისინი არ არიან არჩეულნი კავშირის ორგანოებში და არ იმყოფებიან კავშირში განთავისუფლებულ სამუშაოზე.

6. სკკპ რიგებში მიღებული საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრები კავშირიდან გადიან პარტიაში მიღების დღიდან თუ ისინი არ არიან არჩევითი ორგანოების წევრები და არ იმყოფებიან კავშირში განთავისუფლებულ სამუშაოზე.

7. კავშირის წევრთა აღრიცხვის წესს განსაზღვრავს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტი. კავშირის აღრიცხვიდან მოუხსნელად ორგანიზაციიდან წასვლა, აგრეთვე, აღრიცხვაზე არადროული დადგომა შიდასაკავშირო დისციპლინის უხეში დარღვევაა. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრებს, რომლებიც აღრიცხვის წესს არღვევენ, დაედებათ ორგანიზაციული სასჯელი.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

პროექტი — 2

I. ძირითადი დებულებები

I 1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში ნებაყოფლობით აერთიანებს საქართველოს ახალგაზრდებს, მათი სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, მშობლიური ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად.

I 2. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს მოძრაობის ხასიათი, ჰყავს რეგისტრირებული წევრები, რომლებიც იზიარებენ საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პროგრამასა და წესდებას, იხდიან საწევრო გადასახადს. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრებისათვის ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობა სავალდებულო არ არის.

I. 3. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი თავისი საქმიანობის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევას, საქართველოში დემოკრატიული, პარლამენტური, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებას.

I. 4. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პროგრამა ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს, ჰუმანიზმისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებს.

I. 5. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი თავისი პროგრამისა და წესდების შესაბამისად მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

II. საქმიანობის ძირითადი ფორმები და პრინციპები

II 1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი თავის მიზნებსა და ამოცანებს ახორციელებს საქმიანობის სხვადასხვა ფორმის საშუალებით:

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პროგრამიდან გამომდინარე პოლიტიკური დოკუმენტებისა და კონკრეტული წინადადებების პროექტებს წარუდგენს სახელმწიფო ორგანოებს;

— საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარუდგენს წინადადებებს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესახებ;

— ღებულობს მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში ყველა დონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევისას, წამოაყენებს დეპუტატობის კანდიდატებს;

— აწყობს კრებებს, დემონსტრაციებს, მიტინგებს და სხვა საჯარო აქციებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნავს ეროვნულ დღესასწაულებსა და თარიღებს;

— ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას;

II 2. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

— ყველა დონის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობა;

— კოლეგიალურობა და პირადი პასუხისმგებლობა; უმრავლესობის უფლება, გამოვიდეს ორგანიზაციის სახელით;

— უმცირესობის უფლება, დაიცვას საკუთარი პოზიცია, არ მიიღოს მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, რომელთაც იგი არ ეთანხმება, მაგრამ ხელი არ შეუშალოს უმრავლესობას მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში;

— ჰუმანიზმი, დემოკრატია და სინდისის თავისუფლება;

— ორგანიზაციის წევრობისა და მისი რიგების დატოვების ნებაყოფლობითობა;

II. 3. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი საპროგრამო საკითხების გადაჭრისას თანამშრომლობს სახელმწიფო დაწესებულებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

II. 4. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირს გააჩნია თავისი ბეჭდვითი ორგანოები. მათ რედაქტორებსა და რედკოლეგიებს ირჩევენ საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყრილობაზე. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ ყრილობის წინაშე. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის შიგნით დაშვებულია ფრაქციებისა და დაჯგუფებების თავისუფლება, თუ მათი პლატფორმა არ ეწინააღმდეგება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს;

(გაგრძელება მე-2 გვ.)

წესდება

(დასასრული)

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრთა აღრიცხვიანობა წარმოებს საწევრო ანარიცხების აკრეფა ანგარიშსწორების უწყისისა და ბილეთის საფუძველზე, რომელიც ჩაკრული იქნება სააღრიცხვო ბარათში.

8. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ორგანოები კონტროლს უწევენ საწევრო შესატანების დროულად გადახდას. საწევრო შესატანის შეტანა მოხდება თვეში ერთხელ დადგენილი ნორმატივების შესაბამისად.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის იმ წევრის საკითხი, რომელიც სამი თვის მანძილზე არ გადაიხდის საწევრო შესატანს განხილული უნდა იქნეს პირველადი ორგანიზაციის მიერ და თუ მიზეზი საპატიო არ არის, კავშირის წევრს დაედება ორგანიზაციული სასჯელი, საქართველოს ახალგაზრდობის კავშირიდან გარიცხვამდე.

9. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრს, შეიძლება დაედოს სასჯელი: მითითება, საყვედური ან სასტიკი საყვედური, საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

სასჯელის უმაღლესი ზომაა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირიდან გარიცხვა.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის რიგებიდან კავშირის წევრის გარიცხვის საკითხს წყვეტს პირველადი ორგანიზაციის, ან პირველადის უფლების მქონე ორგანიზაციის საერთო კრება.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კავშირის წევრთა სულ მცირე ორი მესამედი. პირველადის უფლების მქონე ორგანიზაციის გადაწყვეტილებას ამტკიცებს პირველადი ორგანიზაციის კავშირის კომიტეტი.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირები ირიცხებიან კავშირის რიგებიდან (სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ).

10. კავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების წევრების კავშირიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებანი გამოაქვს შესაბამისი კომიტეტების პლენუმს მის წევრთა ხმების ორი მესამედი უმრავლესობით.

11. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირიდან გარიცხულს ან მსჯავრდადებულ წევრს, უფლება აქვთ ორი თვის ვადაში შეიტანოს აპელაცია ზემდგომ ორგანოებში საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის ჩათვლით.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციული წყობა, შიდასაკავშირო დემოკრატია

12. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციული წყობის, ცხოვრებისა და საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი, რაც ნიშნავს:

ა) კავშირის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას თავიდან ბოლომდე.

ბ) კავშირის ორგანოების პერიოდულ ანგარიშებს თავიანთი ორგანიზაციებისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე.

გ) მტკიცე დისციპლინას და უმრავლესობისადმი უმცირესობის უფლების შენარჩუნებით უმცირესობის დამორჩილებას.

— არ შეასრულოს მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ თავისი ქმედებით ხელი არ შეუშალოს მის განხორციელებას.

დ) ზემდგომი კომკავშირული ორგანოების გადაწყვეტილებათა უცილობელ სავალდებულო შესრულებას ქვემდგომი ორგანოების მიერ.

ე) კოლექტიურობას კავშირის ყველა ორგანიზაციისა და ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობაში და კავშირის თითოეული წევრის პირად პასუხისმგებლობას თავისი მოვალეობისა და დავალებების პირნათლად შესრულებაზე.

13. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი შენდება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით. პირველადი ორგანიზაციები იქმნება კავშირის წევრთა მუშაობის ან სწავლის ადგილის მიხედვით და ერთიანდება რაიონულ საქალაქო და სხვა ორგანიზაციებად ტერიტორიის მიხედვით. ორგანიზაცია, რომელიც მოცემული ტერიტორიის კავშირის წევრებს აერთიანებს, ზემდგომია, მისი შემადგენელი ყველა, ორგანიზაციის მიმართ.

14. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პირველადისა — საერთო კრება, კონფერენცია.

რაიონული, საქალაქო, საოლქო ორგანიზაციისა — კონფერენცია, რესპუბლიკური ორგანიზაციისა — ყრილობა.

კრება, კონფერენცია, ყრილობა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კავშირის წევრთა ან არჩეულ დელეგატთა ნახევარზე მეტი.

15. საერთო კრება, კონფერენცია, ან ყრილობა ირჩევს კომიტეტს, რომელიც აღმასრულებელი ორგანოა და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მთელ მიმდინარე მუშაობას.

კავშირის ორგანოების რაოდენობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საერთო კრება, კონფერენცია ან ყრილობა.

კონფერენციებზე წარსაგზავნი დელეგატების არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით. კრების, კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობის თანხმობით, არჩევნები შეიძლება ჩატარდეს დახურული (ფარული) კენჭისყრით

16. თუ კავშირის წევრი არ ასრულებს ან თავს ვერ გაართმევს დაკისრებულ მოვალეობას, ვერ ამართლებს კავშირის წევრთა ნდობას, ის შეიძლება გამოყვანილ იქნეს მისი შემადგენლობიდან მოცემული ორგანოს ინიციატივით, ან კავშირის შემდგომი კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების მოთხოვნით. შესაბამისი კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით.

17. არჩევითი ორგანოს წევრები, რომლებიც წყვეტენ მათთან კავშირს სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო, შეიძლება გამოყვანილი იქნენ ამ ორგანოების შემადგენლობიდან, ხოლო მისი შემადგენლობა, ივსება მოცემული კომიტეტის წევრობის კანდიდატთა რიცხვიდან.

18. რესპუბლიკის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ბიუროს წევრებისა და მდივნების არჩევნები ტარდება შესაბამისი კომიტეტების პლენუმებზე. არჩევნები შეიძლება ჩატარდეს როგორც ღია, ისე დახურული (ფარული) კენჭისყრით.

19. რესპუბლიკის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურ კომიტეტში, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებში მიმდინარე მუშაობისათვის იქმნება აპარატი. აპარატის სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი წესის თანახმად.

20. კავშირის კომიტეტებისათვის, პირველადი ორგანიზაციებისათვის უცილობელ წესს წარმოადგენს აგრეთვე, ობიექტურად და დროულად მიაწოდონ კავშირის ზემდგომ ორგანოებს ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ.

21. კავშირის გადაწყვეტილებათა განსახილველად, შეიძლება მოწვეული იქნეს საქალაქო, რაიონული, საოლქო ორგანიზაციების აქტივის კრებები.

22. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტი, კავშირის კომიტეტები აწესებენ ჯილდოებს, იყენებენ მათ კავშირის საუკეთესო ორგანიზაციებისა და მათი წევრების წასახალისებლად.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის უმაღლესი ორგანოები

23. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის უმაღლესი ორგანოა კავშირის ყრილობა, რომელიც ირჩევს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურ კომიტეტს. ყრილობა იმართება 4-5 წელიწადში ერთხელ.

— რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეული იქნეს საქალაქო, რაიონული, საოლქო კონფერენციების უმრავლესობის, ან საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით.

1. გადასინჯავს, ცვლის და ამტკიცებს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებას, პროგრამას.
2. განსაზღვრავს მუშაობის პლატფორმას და მორიგ ამოცანებს.

— ირჩევს სრევიზიო კომისიის შემადგენლობას.

24. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს იწვევენ 6 თვეში ერთხელ მაინც. ცნობა პლენუმის შესახებ და დღის წესრიგი როგორც წესი ცხადდება პლენუმამდე ერთი თვით ადრე.

ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

პლენუმებს შორის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ირჩევს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, ხოლო მიმდინარე მუშაობის წარმართვისათვის კონტროლისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ორგანიზაციისათვის — სამდივნოს.

25. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის ყრილობებს შორის პერიოდში ამოწმებს და აანალიზებს წერილებზე, განცხადებებისა, საჩივრების განხილვაზე მუშაობას, ცენტრალური კომიტეტისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის შესრულებას, საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის საფინანსო მდგომარეობას.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პირველადი ორგანიზაციები

26. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საფუძველს წარმოადგენს პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც ერთიანდებიან საქალაქო, რაიონულ ორგანიზაციაში და წარმოადგენენ რესპუბლიკურ ორგანიზაციას.

ა) პირველადი ორგანიზაციები იქმნება ინტერესთა მიხედვით კავშირის წევრთა მუშაობის, სწავლის ან ცხოვრების ადგილის მიხედვით ტერიტორიული პრინციპებით. საქალაქო, რაიონული და სხვა ორგანიზაციის სტრუქტურას განსაზღვრავს საქალაქო, რაიონული ხელმძღვანელი ორგანოები პირველად ორგანიზაციებზე დაყრდნობით.

27. პირველადი ორგანიზაცია იქმნება როცა მასში გაერთიანებულია არა ნაკლებ 3 წევრი.

ა) პირელად ორგანიზაციაში, სადაც 20 ან მეტი წევრი ირიცხება, კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას საამქროების ცვლების, უბნების ფერმების, ბრიგადების, განყოფილებების, ფაკულტეტების, კურსების, და ა. შ. ორგანიზაციები, რომლებსაც ენიჭებათ პირველადი ორგანიზაციის უფლებები.

ბ) პირველად ორგანიზაციაში, სადაც 300-ზე მეტი კავშირის წევრია, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც 100-ზე მეტი წევრია, კომიტეტები შეიძლება არჩეულ იქნეს 2-3 წლის ვადით; მათ შეიძლება მიენიჭოთ რაიკომის უფლებები (საწევრო ანარიცხების მნიშვნელობით, კავშირის წევრთა აღრიცხვიანობით).

გ) ტერიტორიულ ორგანიზაციაში, რომელთა შემადგენლობაშიც გაერთიანებულნი არიან ახალგაზრდები სხვადასხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, შეუძლიათ მათი საერთო კრების გადაწყვეტილებით ორგანიზაციაში შექმნან პირველადის უფლების მქონე ორგანიზაციები.

28. პირველადი ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც ტარდება პირველადი ორგანიზაციის კომიტეტის მიერ დადგენილ ვადებში ან პირველადის უფლებების მქონე რამოდენიმე ორგანიზაციის მოთხოვნით. მიმდინარე მუშაობის გასაძღოლად პირველადი ორგანიზაცია 1 წლის ვადით ირჩევს კომიტეტს, პირველადის უფლების მქონე ორგანიზაცია მდივანს და მის მოადგილეს.

ა) პირველადი ორგანიზაცია აწარმოებს ახალგაზრდობის მიღებას კავშირის შემადგენლობაში, მათ აღრიცხვიანობას და საწევრო ანარიცხების აკრეფა-ანგარიშსწორებას. იტოვებს უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურა განიხილავს, კავშირის წევრთა პერსონალურ საკითხებს აუცილებლობების შემთხვევაში (გაფრთხილება-გარიცხვა).

ბ) ახალგაზრდებს ზრდის სიტყვისა და სინდისის თავისუფლებას ადამიანის პიროვნული თავისუფლების უზენაესი გამოხატულებით.

გ) ახალგაზრდებს ზრდის დამოუკიდებელი საქართველოსადმი უანგარო ერთგულების, იდეური, რწმენის, ეროვნული სულისკვეთებით, საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად და პატრიოტებად.

დ) სცემს პატივი პიროვნების რელიგიურ შეხედულებას.

ე) აქტიურად მონაწილეობს საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, სასწავლებლის ცხოვრებასა და საქმეთა მართვაში.

ვ) ეხმარება თავის წარმომადგენლებს არჩეულ იქნან ადგილობრივ, რაიონულ თუ სხვა საბჭოებში.

29. პირველადის უფლების მქონე ორგანიზაციები ახორციელებს პირველადი ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს, თავის მუშაობაში ითვალისწინებს საწარმოო თუ სასწავლო კოლექტივის წინაშე მდგარ ამოცანებს.

ა) პირველადი ორგანიზაციები ერთიანდებიან რაიონულ, საქალაქო ორგანიზაციებში საწარმოო-ტერიტორიულ პრინციპის გათვალისწინებით.

ბ) რაიონული, საოლქო, საქალაქო ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელიც იმართება 2-3 წელში ერთხელ.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დამოკიდებულება საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან

30. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი დგას საერთო იდეურ პლატფორმაზე საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან, ინარჩუნებს სრულ ორგანიზაციულ და იურიდიულ დამოუკიდებლობას. აუცილებლობის შემთხვევაში იტოვებს უფლებას გამოვიდეს კომუნისტური პარტიის ორგანოების გადაწყვეტილებათა ოპონენტად.

31. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი დგას ეროვნულ პლატფორმაზე. იგი იღებს საქართველოს კომკავშირის პლატფორმას ეროვნულ საკითხში და თანმიმდევრულად ზრუნავს მისი განხორციელებისათვის.

32. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი იღვწის საქართველოში ეროვნული თანხმობისათვის. თავის პოზიციას აგებს ეროვნული სამართლიანობის პრინციპზე, ზრუნავს საქართველოს ტერიტორიაზე ყველა ერის ახალგაზრდობის ეროვნული ინტერესების რეალიზებისათვის.

34. შედის საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის შემადგენლობაში ორგანიზაცია-წევრის უფლებით. თავის საქმიანობაში რეკომენდაციის სახით ითვალისწინებს საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, რჩევებს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებას და პროგრამას.

ა) საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი აღიარებს სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების არსებობას და მათთან თანასწორუფლებიანი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას, მიზანმიმართულს საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ბ) აღიარებს თავის თანასწორუფლებიან პარტნიორებად რესპუბლიკის, მოკავშირე რესპუბლიკების და სხვა ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს. მათთან ურთიერთობებს ამყარებს დემოკრატიული დიალოგის, ურთიერთპატივისცემისა და პარიტეტის პრინციპებზე.

გ) საკუთარ პოლიტიკას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებითა და საქართველოს ახალგაზრდობის კავშირიდან არჩეული სახალხო დეპუტატების საშუალებით.

დ) თანამშრომლობს სახელმწიფო ყველა საზოგადოებრივ, სამეურნეო ორგანიზაციებთან, ისწრაფვის რათა მისი საქმიანობა სასარგებლო იყოს მთელი რესპუბლიკისათვის.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ფინანსები

34. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი არის იურიდიული პირი — აქვს საკუთარი ანგარიში (მათ შორის სავალუტო), ბეჭედი, სიმბოლიკა.

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ფულადი სახსრები (მათ შორის სავალუტო) შედგება საწევრო შესატანებისაგან. ბეჭდვითი ორგანოების გავრცელებისა, ორგანიზაციათა ღონისძიებების, ახალგაზრდული გაერთიანებების, კავშირის საწარმოო-დაწესებულებებისაგან მიღებული თანხებისა და სხვა შემოსავლებისაგან.

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები იმყოფებიან დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე. ფულადი სახსრების ხარჯვის საკითხებში ისინი ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთი ორგანიზაციის წინაშე.

— რესპუბლიკურ, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტს ამტკიცებენ მათი ხელმძღვანელი ორგანოები.

— საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ნორმატივებს ამტკიცებს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტი წელიწადში ერთხელ.

ფულადი სახსრები ხმარდება ახალგაზრდებს შორის მუშაობის ორგანიზაციას. კავშირის ორგანოების შენახვას, კადრებისა და აქტივის მომზადებასა და გადამზადებას, პროპაგანდასა და აგიტაციას, მშენებლობებს საქველმოქმედო ღონისძიებებსა და სხვა.

35. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრთათვის ყოველთვიური საწევრო შესატანი განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ვისაც ყოველთვიური გამომუშავება აქვს.

50 მანეთამდე შეაქვს 10 კაპ.
51 მანეთიდან 60 მანეთამდე 30 კაპ.
61დან 70 მანეთამდე — 35 კაპ.
71-დან 80 მანეთამდე — 40 კაპ.
81-დან 90 მანეთამდე—45 კაპ.
91-დან 100 მანეთამდე—50 კაპ.
101-დან 150-მანეთამდე — 1,0 პროცენტი.
150 მანეთზე მეტი — 1,5 პროცენტი. თვიური გამომუშავებისა.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრები, რომლებიც ამავე დროს სკკპ წევრები ან წევრობის კანდიდატები არიან თავისუფლდებიან საწევრო შესატანის გადახდისაგან.

36. დროებითი უმუშევრები, სადეკრეტო შვებულებაში მყოფი და მრავალშვილიანი ქალები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან.

37. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის რიგებში შემსვლელნი იხდიან შესასვლელ შესატანს თვიური გამომუშავების 2 პროცენტის ოდენობით, ხოლო, ის ვისაც გამომუშავება არა აქვს იხდის 5 კაპიკს.

ორგანიზაციის გაუქმება

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის გაუქმების საკითხს წყვეტს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყრილობა.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თანაბარუფლებიანი პრესა.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ბეჭდვითი ორგანოები:

გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, ჟურნალები „ცისკარი“, „ცისკრის“ დამატება „ნობათი“, თანამშრომლობს აგრეთვე ჟურნალ „დილას“, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციებთან.

კავშირის ცენტრალური კომიტეტი ურთიერთთანამშრომლობს აგრეთვე საქართველოს სახ. ტელერადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციებთან.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ბეჭდვითი ორგანოები ყრილობებს შორის პერიოდში ანგარიშვალდებულნი არიან საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პლენუმზე.

პროექტი — 1

პროგრამა

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი არის ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა მიმართულია რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის, გარდაქმნის პროცესების მხარდაჭერის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, საზოგადოების განუწყვეტელი დემოკრატიული განვითარებისაკენ.

I. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის მიზნები:

— ხელი შეუწყოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული სუვერენიტეტის მიღწევას.

— შექმნას დემოკრატიული მექანიზმი, რომელიც დაეხმარება მას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში საკუთარი ინტერესების დაცვაში.

— ხელი შეუწყოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონფედერაციის პრინციპებზე დაფუძნების პროცესის განვითარებას და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

— აღიარებს საქართველოს მოქალაქის სტატუსის დაკანონების აუცილებლობას და იბრძვის მისი განხორციელებისათვის.

— ცდილობს წარმოაჩინოს თავისი წევრების პოლიტიკური შეხედულებები და დაიცვას ახალგაზრდობის პატრიოტული, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ინტერესები. ისწრაფვის, რათა მისი საქმიანობა სასარგებლო იყოს არა მარტო მისი წევრებისა და კავშირისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვის.

II. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საქმიანობის პრინციპები:

დამოუკიდებლობა და ნებაყოფლობითობა, ინიციატივა და თანმიმდევრული განვითარება, დემოკრატია და საჯაროობა, სისტემატურობა და მოქმედების მრავალმხრივობა, თანამშრომლობა.

III. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი პოლიტიკურ სისტემაში

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— დგას საერთო იდეურ პლატფორმაზე საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან, გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიის შემდგომი განვითარების საკითხებში, ინარჩუნებს სრულ ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას პარტიული და სახელმწიფო ორგანოებისაგან, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს რა კომუნისტური პარტიის პოლიტიკური პროგრამის შემუშავებაში, იტოვებს უფლებას გამოვიდეს სახელმწიფო აპარატში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კონსერვატიული ძალების და საჭიროების შემთხვევაში კომუნისტური პარტიის ოპონენტის როლში.

— შედის საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის შემადგენლობაში ორგანიზაცია-წევრის უფლებით. თავის საქმიანობაში რეკომენდაციის სახით ითვალისწინებს საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, რჩევებს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის, წესდებას და პროგრამას. იღვწის, რათა საკავშირო ახალგაზრდობის კავშირი გახდეს სუვერენულ რესპუბლიკათა ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციების კავშირი.

— სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით, აყენებს თავის კანდიდატებს ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოში. საკუთარ პოლიტიკას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში იგი ანხორციელებს კავშირიდან არჩეული სახალხო დეპუტატების საშუალებით. თანამშრომლობს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციასთან, გამოთქვამს და იცავს თავის აზრს ყველა საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით.

— ამყარებს ურთიერთობას რელიგიურ ორგანიზაციებთან და თანამშრომლობს მათთან საქველმოქმედო საქმიანობაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში, მორალური და ჯანსაღი ცხოვრების პრინციპების, ჰუმანიზმის იდეალების პროპაგანდაში.

— აღიარებს სხვა პროგრესულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს თანასწორუფლებიან პარტნიორებად. მათთან ურთიერთობას ამყარებს დემოკრატიულ დიალოგზე,. შემწყნარებლობაზე და ურთიერთპატივისცემაზე. მისწრაფვის, რომ შეიქმნას ახალგაზრდული ორგანიზაციების რესპუბლიკური პარლამენტური ორგანო, რომელიც გამოხატავს. და დაიცავს საქართველოს ახალგაზრდობის ეროვნულ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ინტერესებს.

— მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მოზარდ თაობასთან, ბავშვებთან მუშაობას.

IV. სულიერი და ეროვნული აღორძინებისათვის

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაში. ზრუნავს ყოველგვარი შეღავათების დაწესებისათვის ახალგაზრდა ოჯახების სასარგებლოდ. დახმარებას უწევს დემოგრაფიულად რთულ რაიონებში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებს.

— ურთიერთობას ამყარებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან, ქართველ ემიგრანტებთან. ზრუნავს მათი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე, ეხმარება ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში მონაწილეობის მიღებაში.

— აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში. ეხმარება ახალგაზრდობას შეისწავლოს სახელმწიფო — ქართული, სხვა ენები.

— ხელს უწყობს ეროვნული სკოლების შექმნას, უმაღლესი სკოლების ავტონომიზაციას. მიისწრაფვის მოსწავლეთა და სტუდენტთა თვითმმართველობის რეალურად განხორციელებისაკენ. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახალხო განათლების სისტემის რეფორმის განხორციელებაში.

— ეხმარება რესპუბლიკის ახალგაზრდობას მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების ცენტრებში სასწავლებლად წარგზავნაში. ხელს უწყობს ახალგაზრდული შემოქმედების განვითარებას.

— კავშირის არაქართველ წევრებს ხელს უწყობს მათ ეროვნულ ფასეულობებზე ზრუნვის საქმეში, თუ იგი შეესაბამება ორგანიზაციის იდეალებსა და ამოცანებს. მიისწრაფვის, რომ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ნაციონალობის ხალხი ცხოვრობდეს მეგობრულად, კავშირის თითოეული წევრი არ ურიგდებოდეს შოვინიზმს და ანტიეროვნულ ტენდენციებს.

— ეხმარება ახალგაზრდობას სამყაროს მატერიალისტურ გააზრებაში, ეწევა ჰუმანიზმის იდეალების პროპაგანდას. ქმნის სადისკუსიო კლუბებს, პოლიტოლოგიის ცენტრებს. იბრძვის ახალგაზრდობაში სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისთვის.

— ისწრაფვის აღადგინოს ობიექტური ისტორიული სიმართლე. ეხმარება ახალგაზრდებს შეიცნონ სამშობლოს წარსული, საკუთარი ორგანიზაციის ისტორია. ზრუნავს ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე.

— პროპაგანდას უწევს ჯანსაღი ცხოვრების წესს. ზრუნავს ახალგაზრდობისა და ბავშვების მასობრივ სპორტში ჩაბმაზე, ეხმარება ახალგაზრდებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად მორალურად და ფიზიკურად მომზადებაში.

— აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის შექმნაში. აწყობს შეჯიბრებებს, შეკრებებს. ქმნის სპორტულ, ტურისტულ კლუბებს.

— მონაწილეობს ყოველნაირ საქველმოქმედო საქმიანობაში. ეხმარება მოხუცებს, ინვალიდებს, ობლებს.

V. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— მიისწრაფვის ისეთი სახელმწიფოს შექმნისაკენ, რომელიც უზრუნველყოფდა პიროვნების უფლებების დაცვას, დაფუძნებულს ადამიანის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საყოველთაო დეკლარაციასა და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების“, „ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების“ შესახებ არსებულ პაქტებზე.

— მონაწილეობას ღებულობს კანონ-პროექტების სახალხო განხილვაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე შედის წინადადებით საყოველთაო რეფერენდუმების ჩატარების შესახებ.

— მოითხოვს სისტემატურად გამოქვეყნდეს რეალური სტატისტიკური მონაცემები რესპუბლიკაში არსებულ სოციალურ-დემოგრაფიულ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ფასების დონეზე, ინფლაციაზე, მოსახლეობის რეალურ შემოსავალზე, რესპუბლიკის რეალურ შემოსავალზე, ჯანმრთელობისა და სამართალდამცავი ორგანოების მაჩვენებლებზე.

— იბრძვის მშვიდობისა და განიარაღებისათვის, სამხედრო ძალების შემცირებისათვის. ამიერკავკასიაში უბირთვო ზონის შექმნისათვის. აუცილებლად მიაჩნია ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის განხილვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოში და მისი გამოქვეყნება პრესაში.

— მიისწრაფვის, რომ საქართველოს ახალგაზრდობამ სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიაროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფარგლებში. ხელს უწყობს ეროვნული შენაერთების შექმნას საბჭოთა არმიაში.

VI. ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის, ახალგაზრდობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტის, სუფთა გარემოსათვის

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში; პროპაგანდას უწევს ახალ ეკონომიკურ აზროვნებას, ხელს უწყობს წარმოების ახალგაზრდა ხელმძღვანელთა, მენეჯერთა სკოლების ჩამოყალიბებას.

— მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში. ესწრაფვის საქართველოს ახალგაზრდობის შესახებ კანონის დამტკიცებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ. აქტიურ მუშაობას ატარებს მის განსახორციელებლად.

— იღვწის სოციალური სამართლიანობისათვის. გამოკვლევების, კომპლექსური ანალიზების გზით აღწევს ახალგაზრდობის მოთხოვნილებების გათვალისწინებას რესპუბლიკის, ქალაქების, რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენისას.

— ეხმარება ახალგაზრდობას ყოფა-ცხოვრების, დასვენების, შრომისა და პროფესიული სრულყოფისთვის აუცილებელი პირობების შექმნაში. მონაწილეობას ღებულობს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების მომზადებაში, ახალგაზრდების საბინაო პრობლემების გადაჭრაში.

— მიისწრაფვის მოზარდი თაობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის ინდუსტრიის შესაქმნელად. აყალიბებს ახალგაზრდულ კაფეებს, კლუბებს, ვიდეოთეკებს, ახალგაზრდულ ცენტრებს.

— იბრძვის საუწყებო თვითნებობის აღკვეთისათვის ეკოლოგიურად მავნე ობიექტების მშენებლობების დაშვებისას. ახალგაზრდებისაგან აყალიბებს ნებაყოფლობით რაზმებს გარემოს დამცავი ობიექტების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისათვის.

— იღვწის საქართველოს ახალგაზრობის ძალების კონსოლიდაციისაკენ შავი ზღვის დასაცავად. აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის ძირითადი მდინარეებისა და მათი შენაკადების ეკოლოგიურ დაცვაში. ატარებს ერთობლივ ეკოლოგიურ აქციებს მოკავშირე რესპუბლიკების, სხვა ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად.

VII. საერთაშორისო კავშირების განვითარებისათვის

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— ამტკიცებს ურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირლებთან, ახალგაზრდობასთან, ხელს უწყობს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის პირდაპირი ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების დამყარებას.

— ურთიერთობას ამყარებს საზღვარგარეთის ქვეყნების ახალგაზრდობის კომუნისტურ და სოციალისტურ ორგანიზაციებთან, ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციასა და მოძრაობასთან მათი იდეოლოგიის დამოუკიდებლად მშვიდობისათვის ბრძოლის, განიარაღების, კულტურული პროგრესის, სპორტის, ბუნების დაცვის საკითხებში.

— ცდილობს დამოუკიდებელ წევრად შედიოდეს და მონაწილეობდეს საერთაშორისო დემოკრატიულ კავშირში, ორგანიზაციებში, ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალებში. ზრუნავს საკუთარი სავალუტო ფონდის შექმნაზე.

წესდება

(გაგრძელება)

III. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

III. 1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს სსრ ნებისმიერი მოქალაქე 17-დან 35 წლამდე, რომელიც აღიარებს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პროგრამასა და წესდებას, იხდის საწევრო გადასახადს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

III. 2. ნებისმიერ პირს, 14 წლის ასაკიდან, რომელიც აღიარებს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პროგრამასა და წესდებას, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით. მას ენიჭება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავისუფალი წევრის სტატუსი.

III. 3. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრობის მსურველი განცხადებით მიმართავს პირველად ორგანიზაციას. ორგანიზაციის წევრად მისი მიღება ხდება პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, ხმათა უმრავლესობით.

III. 4. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრს უფლება აქვს:

— მიიღოს მონაწილეობა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის მიერ ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაში, გამოთქვას აზრი, წინადადება და მიიღოს მონაწილეობა სხვა წინადადებების განხილვაში. ღონისძიებებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია;

— მოაწყოს ღონისძიებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებისა და პროგრამის ძირითად პრინციპებს;

— აირჩიოს და არჩეულ იქნას საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ნებისმიერ ორგანოში;

— გააკრიტიკოს კრებებზე, დარბაზის სხდომებზე, ყრილობებზე საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ნებისმიერი ორგანო, საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ნებისმიერი წევრი მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა;

— მიმართოს შეკითხვით, განცხადებით ან წინადადებით საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ნებისმიერ ორგანოს და მოითხოვოს ამომწურავი პასუხი;

— ისარგებლოს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

— გამოვიდეს პირველადი ორგანიზაციის ან სხვა რომელიმე რგოლის სახელით, თუ აქვს მათი თანხმობა;

III. 5. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავისუფალ წევრს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის მიერ ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაში, გამოთქვას აზრი, წინადადება და მიიღოს მონაწილეობა სხვა წინადადების განხილვაში, ღონისძიებებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

— მიმართოს შეკითხვით, განცხადებით ან წინადადებით საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ნებისმიერ ორგანოს და მოითხოვოს ამომწურავი პასუხი;

III. 6. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრი და თავისუფალი წევრი მოვალეა:

— გაუფრთხილდეს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ავტორიტეტს და იზრუნოს ღირსეულ შევსებაზე;

III. 7. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრებსა და თავისუფალ წევრებს გააჩნიათ დადგენილი ნიმუშის წევრობის ბილეთი. მუდმივი შემოსავლის მქონე საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრი იხდის მყარ თვიურ საწევრო გადასახადს. სახელდობრ:

100 მან.-მდე შემოსავლის მქონენი — 0,5 მან.

100 მან-დან 200 მან-მდე შემოსავლის მქონენი — 1 მან.

200 მან-დან 300 მან-მდე შემოსავლის მქონენი — 2 მან.

300 მან-ზე მეტი შემოსავლის მქონენი — სრული შემოსავლის 1 პროცენტს

მუდმივი შემოსავლის არმქონე საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ყოველი წლის დასაწყისში გადაიხადოს წლიური საწევრო გადასახადი.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავისუფალი წევრი საწევრო გადასახადს არ იხდის.

III. 8. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრსა და თავისუფალ წევრს უფლება აქვს თავისუფლად გავიდეს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირიდან, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარეს და ჩააბაროს წევრობის ბილეთი

III. 9. კავშირის წევრი და თავისუფალი წევრი შეიძლება გარიცხულ იქნას კავშირიდან პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით (ხმათა უმრავლესობით) თუ იგი არღვევს წესდებას. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ზემდგომ ინსტანციაში.

III. 10. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრები, რომლებიც სამი თვის განმავლობაში არ იხდიან საწევრო გადასახადს, ითვლებიან საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის რიგებიდან გასულად

(დასასრული მე-4 გვ.)

წესდება

(დასასრული)

IV. ორგანიზაციული წყობა

IV. 1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საფუძველია პირველადი ორგანიზაცია, რომელიც იქმნება ტერიტორიული პრინციპით (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), ან უწყებრივი პრინციპით (ერთი და იმავე დაწესებულების თანამშრომელნი), ან ერთობლივი საქმიანობის სურვილის საფუძველზე.

პირველადი ორგანიზაცია იქმნება იმ შემთხვევაში, თუ მასში ერთიანდება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის არანაკლებ 5 წევრისა.

IV. 2. პირველადი ორგანიზაცია:

— განსაზღვრავს სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად ფორმებსა და მეთოდებს;

— იწვევს კრებებს; ადგენს მათი მოწვევის პერიოდულობას;

— გამოხატავს და იცავს თავისი ორგანიზაციის წევრთა ინტერესებს;

— იღებს ახალ წევრებს;

— აწარმოებს წევრთა აღრიცხვას;

— ასახელებს თავის წარმომადგენლებს ზემდგომ ორგანოებში და აქვს მათი გამოწვევის უფლება;

— იხილავს ორგანიზაციის წევრთა პერსონალურ საკითხებს;

— მონაწილეობს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საერთო მუშაობის დაგეგმვაში და ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილებების განხორციელებაში;

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის იმ წევრებს, რომლებიც მსახურობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ათავისუფლებს საწევრო გადასახადისაგან და აყენებს დროებით აღრიცხვაზე;

კრება უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრთა ერთი მეორედი მაინც. გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

იმ შემთხვევაში, თუ პირველად ორგანიზაციაში ობიექტური მიზეზების გამო საერთო კრების მოწვევა შეუძლებელია, პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულ იქნას კონფერენცია. კონფერენციაზე დელეგატთა არჩევის წესსა და წარმომადგენლობით ნორმას ადგენს თვით პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო.

პირველადი ორგანიზაციის თვითმმართველობის ორგანოები ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ პირველადი ორგანიზაციისა და საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზის წინაშე.

IV. 3. პირველად ორგანიზაციებს, თავიანთი შეხედულებისამებრ, შეუძლიათ შექმნან რაიონული (საქალაქო) საკოორდინაციო ორგანოები — კომიტეტები.

IV. 4. იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ორგანიზაცია უგულებელყოფს პროგრამასა და წესდებას, მაშინ იგი დარბაზის გადაწყვეტილების თანახმად, ირიცხება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირიდან.

IV. 5. პირველადი ორგანიზაციები დაარსებისთანავე რეგისტრირდებიან საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზის გამგეობის მიერ.

IV. 6. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პირველადი ორგანიზაციები ტერიტორიული ნიშნის მიხედვით ერთიანდებიან სარაიონო და საქალაქო კომიტეტებში.

IV. 7. სარაიონო და საქალაქო კომიტეტები:

იქმნება ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, პირველადი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

სარაიონო და საქალაქო კომიტეტების ფორმირება ხდება ყველა პირველადი ორგანიზაციიდან თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით, პირდაპირი დელეგირების საშუალებით.

იმ პირველად ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანებულია საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის 500 წევრზე მეტი, უფლება აქვთ არ შევიდნენ სარაიონო ან საქალაქო კომიტეტებში და პირდაპირ დაექვემდებარონ საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზს.

IV. 8. სარაიონო და საქალაქო კომიტეტები:

— გამოხატავენ და იცავენ პირველადი ორგანიზაციების ინტერესებსა და უფლებებს;

— ირჩევენ თავმჯდომარეს, მისი წარდგინებით ამტკიცებენ საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობას, სტრუქტურასა და შტატებს;

IV. 9. საკოორდინაციო საბჭო ორგანიზაციას უწევს კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, დარბაზის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებისათვის, თავმჯდომარის გარდა, შესაბამისი დონის კომიტეტის წევრობა სავალდებულო არ არის.

IV. 10. საქალაქო ან სარაიონო კომიტეტის თავმჯდომარისა და საკოორდინაციო საბჭოს წევრების გამოწვევა პირველად ორგანიზაციას შეუძლია მხოლოდ კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე.

IV. 11. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. მას იწვევენ ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

რიგგარეშე ყრილობის მოწვევა ხდება, თუ ამას მოითხოვს დარბაზის წევრთა ერთი მესამედი ან საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ერთი მესამედი მაინც.

IV. 12. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყრილობა:

— ღებულობს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის შექმნისა და გაუქმების შესახებ;

— ღებულობს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის პროგრამასა და წესდებას. შეაქვს მასში ცვლილებები;

— განიხილავს და წყვეტს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საქმიანობის ძირითად საკითხებს, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

— ორი წლის ვადით ირჩევს დარბაზს, საკონტროლო კომისიასა და საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარეს;

— ისმენს და აძლევს შეფასებას დარბაზის, საკონტროლო კომისიისა და თავმჯდომარის ანგარიშს;

— ირჩევს ბეჭდვითი ორგანოების რედაქტორებსა და რედკოლეგიას.

— ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა საერთო რაოდენობის 2/3. გადაწყვეტილებებს ღებულობს ხმათა უმრავლესობით.

IV. 13. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზი:

— ყრილობებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საქმიანობას.

— განიხილავს და წყვეტს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის საქმიანობის იმ საკითხებს, რომლებიც არ შედის მხოლოდ ყრილობის კომპეტენციაში;

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს დარბაზის გამგეობის რაოდენობრივ შემადგენლობას, ამტკიცებს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მოადგილეებსა და გამგეობის წევრებს;

— ყრილობებს შორის პერიოდში ირჩევს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარეს;

— იწვევს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყრილობებს და განსაზღვრავს წარმომადგენლობით ნორმას;

ჰქმნის საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის კომისიებს მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, ამტკიცებს კომისიების თავმჯდომარეებსა და მოადგილეებს;

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის სახელით საკანონმდებლო ორგანოებში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში შეაქვს კანონპროექტი და წინადადებები;

— გამოდის განცხადებებით, დეკლარაციებით, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საკითხების შესახებ;

— ამტკიცებს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზის ბიუჯეტსა და საშტატო ერთეულებს;

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებასა და პროგრამაზე დაყრდნობით პირველადი ორგანიზაციების დასახმარებლად ამუშავებს და ამტკიცებს ინსტრუქციებსა და რეკომენდაციებს;

— დარბაზის სხდომები ტარდება სამ თვეში ერთხელ მაინც. დარბაზი შეიძლება მოწვეული იქნას რიგგარეშე სხდომაზე, დარბაზის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის გამგეობის ან თავმჯდომარის მოთხოვნით. დარბაზი უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ისა. გადაწყვეტილებებს ღებულობს ხმათა უმრავლესობით;

IV. 14. გამგეობა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის მუდმივმოქმედი ორგანოა. იგი:

— იწვევს დარბაზის სხდომებს და საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის კომისიებთან ერთად ამზადებს განსახილველ საკითხებს;

— ორგანიზაციას უწევს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყრილობისა და დარბაზის გადაწყვეტილებათა განხორციელებას;

— დარბაზის სხდომებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს კავშირის საქმიანობას.

— ჰქმნის სამუშაო ჯგუფებს, საექსპერტო კომისიებს სხვადასხვა საკითხების შესასწავლად;

— განაგებს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის სახსრებს საფინანსო საქმიანობის შესახებ, ანგარიშს აბარებს დარბაზს;

— გამგეობის მუშაობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ისა გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით;

— საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე არის დარბაზისა და გამგეობის თავმჯდომარეც. გამგეობის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით ესწრებიან დარბაზის მიერ შექმნილი კომისიების თავმჯდომარეები.

IV. 15. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზის კომისიები იქმნება ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. კომისიებს თავიანთ საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიათ მოიწვიონ საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წევრები, რომლებიც არ არიან დარბაზის წევრები, სპეციალისტები და საზოგადო მოღვაწეები.

IV. 16. დარბაზის კომისიები:

— გამგეობასთან ერთად ამზადებენ საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყრილობისა და დარბაზის სხდომებისათვის გადაწყვეტილებათა პროექტებს;

— ამუშავებენ პროგრამებს;

— ამზადებენ კანონპროექტებსა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს სახელმწიფო ორგანოებში წარსადგენად;

— ამუშავებენ სხვადასხვა რეკომენდაციებს გამგეობისა და დარბაზის სხდომებისათვის წარსადგენად;

IV. 17. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე წარმოადგენს ორგანიზაციას სახელმწიფო ორგანოებში, დაწესებულებებში, აგრეთვე, სხვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში. იგი გამოდის საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის სახელით; მისი საქმიანობა ეყრდნობა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყრილობისა და დარბაზის გადაწყვეტილებებს.

თავმჯდომარეს აქვს უფლება მოიწვიოს გამგეობის და დარბაზის სხდომები.

თავმჯდომარე ხელს აწერს ყრილობისა და დარბაზის მიერ მიღებულ დოკუმენტებს. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარედ ზედიზედ არაუმეტეს ორი ვადით.

IV. 18. არჩევნები საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყველა დონეზე ხდება ფარული კენჭისყრით. პირველად ორგანიზაციას უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს არჩევნები ჩაატაროს ღია თუ ფარული კენჭისყრით.

V. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ქონება, ფინანსები და შტატები

V. 1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირს გააჩნია თავისი ქონება და საფინანსო სახსრები.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის სახსრები:

— წევრთა საწევრო გადასახადი;

— ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა ნებაყოფლობითი ფულადი შეწირულობანი;

— ატრიბუტიკის გაყიდვით, საგამომცემლო და საწარმოო საქმიანობით და სხვა ღონისძიებებით მიღებული შემოსავალი.

— შენობები, სატრანსპორტო საშუალებები და მის გამგებლობაში მყოფი სხვა მატერიალური ფასეულობანი;

V. 2. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის სახსრები ბიუჯეტის თანახმად იხარჯება სამეურნეო, ორგანიზაციული და სხვა მოღვაწეობის უზრუნველყოფისათვის, მისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

V. 3. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ყველა დონის ხელმძღვანელი ორგანო ამტკიცებს საშტატო განრიგს ორგანიზაციული და ტექნიკური მოვალეობების შემსრულებელი მუშაკებისათვის.

V. 4. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზის, გამგეობის, საქალაქო და რაიონული კომიტეტების საკოორდინაციო საბჭოების, საფინანსო საქმიანობას, წესდებითა და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ამოწმებს საკონტროლო კომისია.

პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საქმიანობას ამოწმებს საერთო კრება ან საკონტროლო კომისია.

VI. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის სამართლებრივი მდგომარეობა და ატრიბუტიკა

VI. 1. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირს გააჩნია თავისი ატრიბუტიკა, რომელსაც ამტკიცებს ყრილობა.

VI. 2. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი და მისი კომიტეტები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით.

VI. 3. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზის გამგეობასა და კომიტეტებს აქვთ თავიანთი ბეჭედი. მათ გახსნილი აქვთ სხვადასხვა სახის ანგარიშები ბანკების ორგანოებში.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დარბაზის გამგეობის გადაწყვეტილებით, იმ პირველად ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანებულია საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის 500 წევრზე მეტი, უფლება ეძლევათ იქონიონ საკუთარი ბეჭედი და გახსნან ანგარიშები ბანკებში.

პროექტი—2

პროგრამა

საქართველოში გარდაქმნის პროცესი ორგანულად დაუკავშირდა ეროვნულ მოძრაობას. ტოტალური რეჟიმის ჩარჩოებში მოქცეული, უძველესი სახელმწიფოებრივი წარსულის მქონე ერი, სუვერენიტეტისაკენ მისწრაფვის, ცდილობს გამოვიდეს დაქვემდებარებული პროვინციის მდგომარეობიდან და ეპოქის შესაფერისი ეკონომიკით, კულტურითა და დემოკრატიული ინსტიტუტებით თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების სრულფასოვანი მონაწილე გახდეს.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაციაა. რომელიც მიისწრაფვის საქართველოს ახალგაზრდობის კონსოლიდაციისაკენ. იღვწის საქართველოს რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად. იგი იცავს თავისი წევრების ინტერესებს და უქმნის მათ თავისუფალი საქმიანობისა და თვითგამოვლენის პირობებს.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი როგორც დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაცია, თავისი საქმიანობის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს საქართველოში დემოკრატიული მრავალპარტიული, პარლამენტური სახელმწიფოს შექმნას.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი თავისი პროგრამის რეალიზაციას ახორციელებს პირველადი ორგანიზაციების საქმიანობაზე დაყრდნობით.

საქართველოს დემოკრატიული, პარლამენტური სახელმწიფოს შექმნისათვის

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— მიიჩნევს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება უნდა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაციის საფუძველზე პარლამენტური გზით.

— უარყოფს ხელისუფლების მონოპოლიზაციას. ყველა პოლიტიკური ძალა საქართველოში უნდა იყოს თანაბარუფლებიანი. საქართველოს პოლიტიკური სისტემის საფუძველი უნდა იყოს მრავალპარტიულობა.

— მიისწრაფვის რესპუბლიკის სინამდვილეში ისეთი ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებისაკენ, რომლებიც ხალხის ნებით იქნება არჩეული და რომელთა საქმიანობის ძირითადი და ერთადერთი კრიტერიუმი იქნება ადამიანი, მისი კეთილდღეობა, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები;

— იღვწის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფოებრივი დაცვისათვის;

— მოითხოვს კანონმდებლობის ცალკეული დარგების დახვეწას, ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური თვისებების, ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით;

— ეროვნული კანონმდებლობა უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სამართლებრივი კულტურისა და ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე;

— პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფის გზაზე აუცილებლად უნდა მოიშალოს ის ხელოვნური ბარიერები, რომლებიც წინ ეღობება სამართლებრივი გარანტიების შექმნას; მრავალპარტიულობის საკანონმდებლო განმტკიცებით უნდა გამოირიცხოს ერთნებობა — ერთი პირის, ერთი პარტიის ან ერთი რომელიმე ორგანოს მიერ ძალაუფლების მონოპოლიზაციის შესაძლებლობა.

— პოლიტიკური პლურალიზმის განხორციელების მიზნით მოითხოვს კონსტიტუციის გადასინჯვას;

— იღვწის სასამართლო ორგანოების სრული დამოუკიდებლობისათვის;

— იღვწის რესპუბლიკაში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნისათვის;

— დემოკრატიული მმართველობის განხორციელებისათვის აუცილებლად მიიჩნევს რესპუბლიკისა და ახალგაზრდობისათვის საჭირბოროტო ყველა საკითხზე რეფერენდუმების ჩატარებას.

(დასასრული მე-5 გვ.)

პროგრამა

(დასასრული)

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების და ახალგაზრდობის სოციალური ინტერესების დაცვისათვის

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— მონაწილეობას იღებს სუვერენული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული კონცეფციის შემუშავებაში და თავისი ყოველდღიური კონკრეტული საქმიანობით ხელს შეუწყობს მის ცხოვრებაში განხორციელებას;

— საქართველოს ეკონომიკამ უნდა აიღოს სოციალური ორიენტაცია, ანუ პიროვნების, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მისი მთავარი მიზანი უნდა გახდეს;

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი იღვწის ეროვნული ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად და განსავითარებლად ტრადიციული დარგების აღორძინებისათვის. საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მორალური, ზნეობრივი ეკონომიკის კანონმდებლობის განმტკიცებისათვის;

— ახალგაზრდობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად მიიჩნევს საზოგადოების თითოეული წევრისათვის შემოქმედებითი შრომის პირობების შექმნას. მისი პოტენციალის სწორად გამოვლენას. აღნიშნულის მისაღწევად · აუცილებლად თვლის რესპუბლიკაში საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნების სახელმწიფო ანუ სახალხო, კოოპერაციული, ჯგუფური, კერძო და საკუთრების სხვა ფორმების დაკანონებას;

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი იღვწის ისეთი ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდობის უფლებას იმუშაონ სპეციალობით, უზრუნველყოფს მათ მატერიალურ დამოუკიდებლობას სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას;

— შეისწავლის ახალგაზრდობის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს და იღვწის მათი დაკმაყოფილებისათვის;

— იცავს ახალგაზრდობის ინტერესებს სამართლებრივი აქტების მიღებისას;

— იღვწის ახალგაზრდობისათვის პროფესიული დახელოვნების პირობების შექმნისათვის;

— იბრძვის სოციალური თანასწორობისათვის;

— ახალგაზრდობის ინიციატივების ხორცშესხმისათვის ქმნის კოოპერატივებს, საწარმოებს, გაერთიანებებს და სხვა სამეურნეო ქვედანაყოფებს;

— იღვწის რათა სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრამების განხორციელებისას პრიორიტეტი მიენიჭოს სოფელს, სოფლის მეურნეობას;

— თავის ამოცანად მიიჩნევს ახალგაზრდობისათვის დასვენების ინდუსტრიის უკეთ ორგანიზებას. ამ მიზნით ახალგაზრდული ცენტრების, კლუბების, შემეცნებით გასართობი და სპორტული ობიექტების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აშენებას და ექსპლოატაციას სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე.

ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისათვის

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას;

— პროპაგანდას უწევს ჰუმანიზმის იდეალებს, აღიარებს სინდისის თავისუფლებას;

— იღვწის ობიექტური ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის;

— მონაწილეობას იღებს საქველმოქმედო აქციებში, შეფობს დავრდომილებსა და ინვალიდებს.

— იღვწის, რათა ახალგაზრდებს ჰქონდეთ საშუალება განათლება მიიღონ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საზღვარგარეთულ ცენტრებში;

— მხარს უჭერს ეროვნულ ოლიმპიურ მოძრაობას, თავისი პრაქტიკული საქმიანობით პროპაგანდას უწევს მის იდეებს;

— ფიზიკურად ჯანსაღი, მომავალი თაობის აღზრდის მიზნით აწყობს სპორტულ შეჯიბრებებს, აყალიბებს სპორტულ კლუბებს, პროპაგანდას უწევს ცხოვრების ჯანმრთელ წესს.

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი და სხვა ორგანიზაციები

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— საქართველოს რესპუბლიკის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მისაღწევად თანამშრომლობს ყველა საზოგადოებრივ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციასთან მიზნების ერთობლიობის და სრული პარიტეტის საფუძველზე;

— აღიარებს სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების არსებობას, საქართველოს კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, მის სწრაფვას მათთან თანასწორუფლებიან, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ დიალოგისა და თანამშრომლობისაკენ;

— ახორციელებს ურთიერთობას რელიგიურ ინსტიტუტებთან, ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და ურთიერთხელშეწყობის პრინციპებზე, მიმართულს რესპუბლიკის კეთილდღეობისაკენ;

— რესპუბლიკურ და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებში კავშირის წევრი დეპუტატების საშუალებით ახორციელებს პოლიტიკურ მმართველობაში მონაწილეობას;

საერთაშორისო და ეროთაშორისი ურთიერთობების გაღრმავებისათვის

საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი:

— იღვწის ეროვნული გათიშულობის კუთხურობისა და პროვინციალიზმის დაძლევის, ცენტრსა და რაიონებს შორის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური დისბალანსის ლიკვიდაციისათვის;

— ამყარებს კავშირს სახელმწიფოების თუ რესპუბლიკების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და თანამშრომლობს მათთან პარიტეტულ საწყისებზე, მათთან ერთად იბრძვის მშვიდობისა და განიარაღებისათვის, კულტურისა და სპორტის პროგრესისათვის, გარემოს დაცვისათვის;

— თანამშრომლობს ქართული ემიგრაციის ახალგაზრდობასთან;

— ხელს უწყობს ახალგაზრდული ტურიზმის განვითარებას;

— იღვწის რესპუბლიკაში ეთნოკომფლიქტების წარმოშობის მიზეზების აღმოსაფხვრელად;

— იღვწის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქართველოს წარმომადგენლობებისა და ახალგაზრდული პრესის კორპუნქტების დაარსებისათვის;

საქართველოს კომკავშირის თითოეულ წევრს

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია გზაგასაყართანაა. დღეს თითოეულმა თქვენთაგანმა უნდა გადაწყვიტოს, როგორი იქნება საქართველოს კომკავშირის მომავალი. მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული რამდენად სიცოცხლისუნარიანი, მართალ პოზიციებზე მდგომი იქნება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ახალგაზრდული ორგანიზაცია.

თქვენ საშუალება გეძლევათ, გააკეთოთ არჩევანი. გვაცნობეთ, დღევანდელ ნომერში მოთავსებული ალტერნატიული ვარიანტებიდან, რომელს უჭერთ მხარს.

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებანი გამოგვიგზავნოთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში.

მისამართი: ქ. თბილისი, მაჩაბელის ქ. № 11, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

ახალგაზრდობის ცხოვრება საზღვარგარეთ

ბუდაპეშტი. ბუდაპეშტის მახლობლად ქალაქ ხალომბატში მუშაობა დაამთავრა უნგრეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირი მე-2 საერთო კრებამ, მისმა დელეგატებმა განიხილეს ამ ორგანიზაციის მომავლის საკითხი.

ფორუმზე გავრცელებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შარშან გაზაფხულზე მიღებული უნგრეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის პროგრამა ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელობის მოთხოვნებს, ვინაიდან ორგანიზაციამ ვერ გაითვალისწინა ერთპარტიულიდან მრავალპარტიულ საპარლამენტო დემოკრატიაზე გადასვლისა და ქვეყანაში მზარდი კრიზისის შედეგები.

როგორც უნგრეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის გამგეობის წევრმა იმრე ნადმა განაცხადა, უნგრეთის საინფორმაციო სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში, საერთო კრების მთავარი მიზანია განსაზღვროს უნგრეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის ხასიათი.

ათენი. აქ მუშაობა დაამთავრა საბერძნეთის კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციის მე-5 საგანგებო ყრილობამ. მისმა მონაწილეებმა განიხილეს საბერძნეთის კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციის აქტუალური ამოცანები, მისი მიზნები და ადგილი მშრომელთა ინტერესებისათვის ბერძენი კომუნისტების ბრძოლაში, აირჩიეს მისი ცენტრალური საბჭოს ახალი შემადგენლობა.

ყრილობის დასკვნით სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ფარაკოსმა.. შეეხო რა იმ დიდ ცვლილებებს, რომლებიც ხდება მთელს მსოფლიოსა და საბერძნეთის საზოგადოებაში, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკვე საკმარისი არ არის „არსებული დემოკრატია“. ჩვენ, თქვა მან, ვიბრძვით ნამდვილი დემოკრატიისათვის.

ბერძენი კომუნისტების ლიდერმა აღნიშნა, რომ პარტია თავისი ახალგაზრდული ორგანიზაციისაგან ელის აქტიურ მონაწილეობას მიმდინარე ცვლილებებში. საბერძნეთის კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაცია, თქვა გ. ფარაკოსმა, ყოველთვის უნდა ცხოვრობდეს და იბრძოდეს ახალგაზრდობასთან ერთად, ყოველთვის რჩებოდეს კომუნისტურ ორგანიზაციად.

საბერძნეთის ახალგაზრდა კომუნისტთა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვა ქვეყნების პროგრესული ახალგაზრდული ორგანიზაციების, მათ შორის კომკავშირის წარმომადგენლები.

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს:

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **ზაურ გიორგის ძე წულაია** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **რევაზ ტარასის ძე ჩხაიძე** — ქ. თბილისის ომისა და შრომის ვეტერანთა ლენინის რაიონული საბჭოსაგან.

თბილისის № 9 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი **რევაზ გიორგის ძე ხერაძე** — ამ საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე **გაბრიელ გიორგის ძე იაკობიძე** — დეპოს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 8 საშუალო სკოლის დირექტორი **აკაკი დავლოსტის ძე კივილაძე** — თბილისის ომისა და შრომის ვეტერანთა ლენინის რაიონული საბჭოსაგან.

გადამდგარი გენერალ-მაიორი **ნიკოლოზ ივანეს ძე კალაძე** — ქ. თბილისის ომისა და შრომის ვეტერანთა ლენინის რაიონული საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის დირექტორი **ნოდარ ირაკლის ძე კიკვაძე** — ამ ცენტრის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი **დავით ჯოველის ძე უსუფაშვილი** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი **გიორგი შალვას ძე შუბლაძე** — ინსტიტუტის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „კვებარომატკომპლექსის“ გენერალური დირექტორი **ანზორ მიხეილის ძე ჭლიკაძე** — ინსტიტუტის, თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს, კვების პროდუქტების ექსპერიმენტული ქარხნისა და ამ გაერთიანების სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს შრომითი კოლექტივებისაგან.

რესპუბლიკის რადიოელექტრონული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული **იოსებ ვლადიმერის ძე გაბუნია** — თბილისის ლენინის რაიონის № 2 რკინიგზის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისაგან.

ჯანმრთელობის დაცვის სამეურნეოანგარიშიან დაწესებულებათა რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი **რევაზ სავლეს ძე ხონელიძე** — სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი **დავით ივანეს ძე ჯოხაძე** — გურჯაანის რაიონის ჭანდრის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინის, მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **გურამ გიორგის ძე ნარსიძე** — საქართველოს ექიმთა ასოციაციისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი **სარგის სოლომონის ძე ცაიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **გოჩა გიორგის ძე ჩოგოვაძე** — ამ უნივერსიტეტის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის ასისტენტი **გია ვარდენის ძე ლობჟანიძე** — საქართველოს ექიმთა ასოციაციისაგან.

საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **დალილა დავითის ასული ბოჭგუა** — თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის შრომითი კოლექტივისაგან.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უფროსი რედაქტორი **კობა მინდიას ძე არაბული** — დუშეთის რაიონის ბარისახოს სასოფლო საბჭოს ამომრჩევლებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექციის მრჩეველი **ალექსანდრე (ლალი) ივანეს ძე ჯავახიშვილი** — კასპის რაიონის ხოვლეს საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ანდროლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი **ზურაბ სერგოს ძე მარშანია** — საქართველოს ექიმთა ასოციაციისაგან.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **გურამ ივანეს ძე ფანჯიკიძე** — სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოებისაგან.

საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ანზორ ვიქტორის ძე ბურჯანაძე** — სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი **როინ ვიქტორის ძე მეტრეველი** — სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებისაგან.

(საქინფორმი)

ალტერნატიული პრესა — რუბრიკით „საჯაროობა“

გარდაქმნის, საჯაროობის პროცესი თუ რამეს შეეტყო, თქმა არ უნდა, ეს პრესაა. თავი დააღწია რა პროკრუსტეს სარეცელს, ტყუპისცალებივით ერთმანეთის მსგავსმა, ერთ თარგზე აწყობილმა ბევრმა გაზეთმა მიიღო საკუთარი სახე, შეიძინა საკუთარი ხმა...

ამგვარი „გარდაქმნის“ ერთ-ერთი დადებითი შედეგი ისიცაა, რომ გაზეთებს შორის გაჩაღდა ჯანსაღი კონკურენცია, „ბრძოლა“ მკითხველისათვის...

ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „არაოფიციალურ ოფიციალურ პრესას“ (ისინი ხომ ხშირად უპირისპირდებიან ოფიციოზის პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე) კონკურენტი გამოუჩნდა „გარედანაც“ — სხვადასხვა არაფორმალური საზოგადოებებისა და პარტიების თვითგამოცემითი გაზეთების სახით.

ამგვარი გაზეთები უკვე გამოიცემა არა მარტო თბილისში, არამედ მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში. დიდია მათი ზემოქმედების ძალა მკითხველზე, საზოგადოებრივ აზრზე, საერთოდ ეროვნულ მოძრაობაზე (რისი აღმავლობა-გაძლიერებისთვისაცაა მოწოდებული ეს, ერთმანეთისაგან ხშირ შემთხვევაში, როგორც ფორმით, ისე შინაარსით განსხვავებული გაზეთები).

ამ პრესის „არშემჩნევა“ უკვე შეუძლებელია, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს გაზეთში რუბრიკით — ალტერნატიული პრესა — რუბრიკით „საჯაროობა“. პერიოდულად შემოგთავაზოთ მათი მიმოხილვა, რომელსაც გაუძღვება ჟურნალისტი ფელიქს კოჟიაშვილი.

მიმოხილვებისას მოკლედ, კომპაქტურად გაგაცნობთ თვითგამოცემითი გაზეთების ახალ ნომრებს, მათში მოთავსებულ მასალებს, ამ გაზეთების გამომცემელი პარტიებისა და საზოგადოებების მიზნებს, ამოცანებს, მათს პოზიციას ამა თუ იმ მოვლენის, საკითხის მიმართ...

ყოველ პარტიასა და საზოგადოებას ვთხოვთ რეგულარულად მოგვაწოდონ თავიანთი გაზეთის ახალი ნომრების თითო ეგზემპლარი.

დღეს გთავაზობთ მონარქისტული პარტიისა და საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის გაზეთების მიმოხილვას.

მკითხველმა იცის, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა „საქართველოს მონარქისტული პარტია, რომელიც სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და პარტიებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ბოლო ხანს ჩატარებულ თუ მიმდინარე აქციებში.

დიდია საზოგადოების ინტერესი ამ, შედარებით ახალი, „თავისებური“ პარტიისადმი („ვინ არიან? რას ისახავენ მიზნად? როგორია მათი პოლიტიკური პრინციპები?“ და სხვ.).

და აი, შეგვიძლია უშუალოდ პირველწყაროსგან დავიკმაყოფილოთ ეს ინტერესი — ამ დღეებში გამოვიდა პარტიის გაზეთის „ძლევაის“ პირველი ნომერი.

პარტიის მიზნები და ამოცანები გაცხადებულია, ჩამოყალიბებულია პროგრამული პრინციპების სახით, რომელთაც აქვე მთლიანად მოვიყვანთ:

1. მონარქისტული პარტია არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისა და კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებისათვის.

2. ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მონარქისტული პარტია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით აწარმოებს.

3. საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებისათვის მონარქისტული პარტია საპარლამენტო ბრძოლის გზასა და რეფერენდუმს მიმართავს.

4. მონარქისტული პარტია ერთადერთ კანონიერ სამეფო დინასტიად საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო სახლს მიიჩნევს.

5. მონარქი დამოუკიდებელ საქართველოში არის სახელმწიფოს მეთაური, რომლის უფლებები განსაზღვრულია კონსტიტუციით.

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავს საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეული პარლამენტი და მთავრობა.

6. მონარქისტული პარტია იბრძვის საქართველოში და მის ტერიტორიებს გარეთ მცხოვრებ ყველა ქართველის ინტერესების დასაცავად.

7. მონარქისტული პარტია სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებელ ქრისტიანობას თვლის და აღიარებს სარწმუნოებრივ თავისუფლებას.

8. თავისუფალ საქართველოში მოქალაქეთა უფლებები განისაზღვრება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, ჰელსინკის ხელშეკრულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

9. მონარქისტული პარტია იბრძვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

10. მონარქისტული პარტია თვლის, რომ საქართველოს მიწა-წყალი ქართველი ერის საკუთრებაა, იგი ცნობს საკუთრების ოთხივე — კერძო, სახელმწიფო, შერეულ და კოოპერაციულ ფორმებს.

11. მონარქისტული პარტია იბრძვის მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტის შექმნისათვის.

12. მონარქისტული პარტია თანადგომას უცხადებს ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ პარტიას.

პარტიის მიზანი და პროგრამა ვრცლად არის გადმოცემული აგრეთვე სარედაქციო წერილში „ვინ ვართ და რა გვსურს“, სადაც მონარქი განსაზღვრულია, როგორც ერის ისტორიული და კულტურული ტრადიციების ცოცხალი ხატი.

რაც შეეხება სხვა მასალებს:

გაზეთში დაბეჭდილია ლერი სიხარულიძის „სანთელ-საკმეველი“, აკაკი ასათიანის „ვის ეკუთვნის საქართველოს ტახტი?“, ზურაბ ასკანელის „ილია ჭავჭავაძე — საქართველოს სამეფოს აღდგენაზე მეოცნებე“.

აქვე დაბეჭდილია 1917 წლის 29 ოქტომბრის მეტად საყურადღებო აქტი, რომლითაც ქართველმა თავადაზნაურობამ 30 მილიონ ოქროს მანეთად ღირებული მთელი თავისი კოლექტიური ქონება გადასცა მშობელ ერს.

წაიკითხავთ ნაწყვეტს კონსტანტინე გამსახურდიას მოგონებებიდან „ლანდებთან ლაციცი“, იაპონიის იმპერატორ ხიროხიტოსა და მისი ვაჟის აკიხიტოს ცხოვრების ამსახველ წერილს — „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს“ (იბეჭდება რუბრიკით „უცხოური მიმოხილვა“).

გაზეთი ბეჭდავს მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ წერილებს.

●

გამოვიდა საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის სოციალურ-პოლიტიკური გაზეთის „ნათლისვეტის“ № 3-4.

„საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის შექმნის თაობაზე“ დაბეჭდილ ცნობაში ვკითხულობთ: „გაზიარებულ იქნა საზოგადოებრიობის ფართო ფენების მოთხოვნები და შეწყდა საქართველოს ეროვნული კომუნისტური ალიანსის საქმიანობა. მის სანაცვლოდ ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსი“... ამავე ცნობით, ალიანსის პროგრამაში, რომელიც უნდა შეიმუშავოს დამფუძნებელმა საბჭომ, განსაზღვრულია [illegible] შემდეგი ძირითადი საკითხები: საქართველოს სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება; მრავალპარტიათა თანამოქმედების აღიარება; კერძო საკუთრების დაკანონება; პიროვნების ხელშეუხებლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია; საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა; სახელმწიფო ენად ქართულის დაკანონება; ეროვნული ბანკის დაარსება; ეროვნული არმიისა და სახელმწიფო თავდაცვის ინსტიტუტების შექმნა; ცენზურის სრული გაუქმება; და სხვ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაცია-ანექსიაზეა საუბარი ზურაბ ჯანიაშვილის ვრცელ წერილში „თეთრი ცხენი და წითელი დროშები“; ახლახან ჩატარებულ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიას ეძღვნება გ. მოსულიშვილის რეპლიკა „ბარაქალა მას“. ქართული ჟურნალ-გაზეთების რუსულ ენაზე დუბლირების წინააღმდეგ ილაშქრებს გ. სარჯველაძე („დროა შეწყვიტონ“); საინტერესოა ჯ. ზურაბიძის წერილში „არც ისეთი ბეჩავი ვართ“, გატარებული აზრი, სხვადასხვა ბელადების ძეგლების მსურველებზე მიყიდვის შესახებ.

გაზეთი ბეჭდავს მკითხველების პრობლემატური ხასიათის მასალებს, ზურაბ ჭავჭავაძისა და ანდრია სახაროვის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილებს, პოლიტიკურ გამოცანებს, ანზორ აბულაშვილის ლექსს „იუდას სინდრომი“, ზურაბ რატიანის სატირულ ნაწარმოებს — „ძალიან ღია წერილი მთელი მსოფლიოს ყველაზე ძალიან მოწინავე კაცობრიობას“ და სხვა მასალებს.

ილია ჭავჭავაძე — საქართველოს სამეფოს აღდგენაზე მეოცნებე

ვისაც კი ოდესმე ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე დაუწერია, ამოსავალ დებულებად ყველასათვის ქცეულა ლელთ ღუნიას სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. ზოგადად ამით განსაზღვრავდნენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის მრწამსს. უკეთეს შემთხვევაში ილიას ბიოგრაფიიდან მოჰყავდათ ის სამოქმედო პროგრამები, რომელთაც იგი უსახავდა თავის ხალხს მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციებში.

განსახილველი საკითხისადმი დიდი პასუხისმგებლობა და კონიუნქტურით განპირობებული მოსაზრებები ზღუდავდა მკვლევარებს, უფრო შორსმიმდინარე დასკვნები გაეკეთებინათ: სახელდობრ, თუ როგორ წარმოედგინა ილიას საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავალი იდეალურ ვითარებაში.

მკითხველის სულგრძელობისა და მიმტევებლობის გათვალისწინებით, წერილის ავტორი თავს ნებას აძლევს, შეჰბედოს მას მოკრძალებული ვარაუდი და წარმოუდგინოს ილიას პორტრეტი, როგორც საქართველოს სამეფოს აპოლოგეტისა და მისი აღდგენის მოსურნისა დამოუკიდებელსა და თავისუფალ საქართველოში.

ამ მიზნით თავდაპირველად ილიას შემოქმედებიდან ის ადგილები იქნება მოხმობილი, სადაც იგი ღვთიური წარმოშობის იდეასა და აღმატებითს შეხედულებებს ამკვიდრებს ქართველ მეფეებზე, ხოლო შემდეგ — ცალკეული მაგალითები, რომლებიც ცხადად თუ ფარულად ამხელენ ილიას ოცნებას თავის იდეალზე.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ილია განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით წერს ყველა იმ მეფეთა შესახებ, რომლებსაც თავი გამოუჩენიათ ერის წინაშე თავიანთი მოღვაწეობით.

ფარნავაზიდან მოყოლებული („აჩრდილი“) დიდებით მოიხსენიებს საქართველოს ღირსეულ მეფეთა სახელებს: გორგასალს, დავითს, თამარს („აი, ისტორია“). მთელ პოემას წერს დიმიტრი თავდადებულზე. ცალკე წერილებს უძღვნის დავით აღმაშენებელსა და ლუარსაბ წამებულს. შარავანდედით მოსავს თამარის სახელს სრულიად სხვადასხვა ნაწარმოებებში.

მაგრამ იმისათვის, რომ დაამკვიდროს ხალხში მეფის ერისადმი მზრუნველობისა და თავდადების იდეა, ილია ხშირად მიმართავს მათი ღვაწლის ზოგადად წარმოსახვას:

ა) ქართველი მეფეები იბრძვიან საქართველოს სახელის სადიდებლად სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ:

„საქართველოს მეფენი, ჰგრძნობდნენ რა სიდიადეს წმიდათა მამათა მოღვაწეობისას საქართველოს გარეთ, არა ჰზოგავდნენ არა სახსარს, რომ ქონებით ულონობა და ნაკლებულობა არა ჰქონოდათ მონასტრებსა და ეკლესიებს ქართველებისას. ამიტომაც ყველაზედ უფრო შემწირველნი მეფენი იყვნენ. დიდძალი მამულები შეჰსწირეს, დიდძალი ყმები, რომ ამ გზით წყარო ცხოვრებისა შეუწყვეტელი ყოფილიყო ქართველთა მოღვაწეთათვის საქართველოს გარეთ სადიდებლად და გასაძლიერებლად ქრისტეს სარწმუნოებისა“ („ათონის ქართული სავანის შესახებ“, ტ. VIII. გვ. 306).

ბ) საქართველოს მეფენი ილვწიან საქართველოს კეთილდღეობისათვის შინ:

თუ გავითვალისწინებთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ილია ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა „იმ ეკონომიურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველ მეფეთა მცდელობა ამ წესების განუხრელად დაცვისათვის. ილია თავის დასკვნაში აღნიშნავს: „აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც...“ („ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, ტ. IV გვ. 177).

გ) ქართველი მეფეები იხსნიებიან თვით იხეთ შემთხვევებშიც კი, სადაც თითქოს სამისო აუცილებლობა არ არსებობს. ილია ცდილობს მათი ღვაწლის საგანგებოდ წარმოჩენას:

„როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა“ („ოსმალოს საქართველო“ ტ. IV. გვ. 11).

იმისათვის, რომ გამაჰმადიანებული საქართველოს მიწა-წყალი უძველესი ქრისტიანობის აკვნად გამოეცხადებინა, ილიასათვის სრულიად საკმარისი იყო ეთქვა არაბთა ექსპანსიის წინააღმდეგ მკვიდრი მოსახლეობის შეურიგებლობის შესახებ და იქვე დაესვა წერტილი. მაგრამ ილია განზრახ უსვამდა ხაზს ბაგრატიონების „მეთაურობასა და წინამძღოლობას“, რადგან ამით ქვეცნობიერად ამკვიდრებდა მკითხველის შეგნებაში ამ წინამძღოლობის კეთილისმყოფელ სურათს და იწვევდა მათი სახელებისადმი მოკრძალებას და თაყვანისცემას.

ქართველ მეფეთადმი ასეთი დამოკიდებულება მჟღავნდება ილიას ყოველ ნაწარმოებში, მაგრამ გამორჩეული ადგილი მაინც თამარ მეფეს ეკუთვნის. „გლახის ნაამბობში“ სიკეთის მადლით ცხებული მღვდლის პირით სრულიად განსაკუთრებული სიამაყითა და ღირსებით აღწერს ილია თამარის ეპოქას:

„თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა, ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა. მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია, იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე, ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები...“

როდესაც ილია თამარს „დედას“ უწოდებს, მხოლოდ სვიანი მეფობა და დიდთა საერო საქმეთა ქმნა არა აქვს მხედველობაში. მანამდე ქართველ ერს დედაღვთისმშობლის გარდა „დედა“ ასეთი ყოვლისმომცველი მნიშვნელობით არავისთვის უწოდებია. როდესაც ილია თამარს უწოდებდა „დედას“, აქ მისი ღვაწლის მიღმა ბაგრატიონთა გვარის ღვთაებრივი წარმომავლობაც ჰქონდა უთუოდ ნაგულისხმევი.

იგივე ხდება მეფე დიმიტრი თავდადებულის მიმართაც. ილიასათვის დიმიტრი მამაა ერისა. ურდოში გასამგზავრებლად განმზადებულს, შიშით მიმართავს მას ქართველობა:

„მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, შენს დამკარგველთ?
მამობასა ვიღა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?“

ხოლო რაკი თავად მეფე დიმიტრიმ იცის, რომ „ეს ქვეყანა ღვთისაგან აქვს მონაბარი“, ამ დიდი ვალის შეგნებით მიმართავს ღმერთს:

„ღმერთო, ღმერთო! თვალწინ
მიდგა
დიდტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, იხეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი“.

მეფის ლოცვაში ერთდროულად ვლინდება როგორც მისი მტკიცე და შეუდრეკელი ხასიათი, ამავე დროს — გარკვეული უფლებამოსილებაც, საკუთარი განცდების ძე — ღმერთის განცდებთან გათანაბრებისა. ამგვარად უხდის ილია ხარკს ქართულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას, რომელიც ქართულ სამეფო გვარეულობას ბიბლიურ მეფეებთან აკავშირებს.

ხოლო პირველი ლექსი, სადაც ილია ჭავჭავაძე დაუფარავად ამხელს თავის პოლიტიკურ მრწამსს, არის „იანიჩარი“. 1860 წელს დაწერილ ამ ლექსში აღწერილია ივერიელი მხედრის სიჩაუქე და ოსტატობა, რომელსაც იგი თავისი ქვეყნის დამმონებელ ხელმწიფის წინაშე ამჟღავნებს. პოეტი სინანულს გამოთქვამს ამის გამო:

„ვხთქვი, თუ ვისთვის შენ
კისკასობ, ვისთვის იჩენ
სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს
დამღუპველ ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი
შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს
გულს არ გიხალისებს!..“

რომც არ არსებობდეს ლექსის თავდაპირველი ვარიანტი, ჩვენთვის მაინც ადვილი იქნებოდა ქართველი კონდოტიერის სათანადო გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირება. მაგრამ რადგან არსებობს, ამდენად იგი სხვა მხრივ არის საყურადღებო: ორიგინალში ლექსის სათაური ყოფილა „კანვოელს“, ხოლო ზემოთმოყვანილი სტროფის მეორე ტაეპში ნაცვლად „შენს დამღუპველს ოსმალეთსა“ ეწერა: „შენით ბნელსა ჩრდილოეთსა“. მართალია, ილიამ საბოლოოდ ლექსის იგავური ფორმა აირჩია, მაგრამ პირვანდელი სათაურითა და შინაარსით დასტურდება, რომ იგი ასახავს სიუჟეტს რეალური სინამდვილიდან. ლექსის გმირი ყმაწვილისათვის სწორედ ამ რეალურ სინამდვილეში არ არსებობს „მეფე შენი“. სამაგიეროდ არსებობს „მეფე სხვისი“. ხოლო ამ სხვისა მეფესთან მისგან თავის გამოჩენას და ამდენად, ეროვნულ ძალთა მტრის სამსახურში ჩადგომას ვერ ეგუება ილია. ამავე დროს, რადგან ლექსი რეალურ გარემოშია წარმოშობილი და სავსებით შეესატყვისება იმდროინდელ ვითარებას, საკუთარ („მეფე შენი“) მეფეზე ნატვრა ილიას მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ და „იანიჩარი“ კი შემოქმედების იმ ნიმუშად, სადაც ილია ავლენს თავის სიმპათიებს სამეფო ხელისუფლებისადმი. ამ პერიოდში შექმნილი ილიას სხვა ლექსებიც („ელეგია“, „მესმის, მესმის“, „გაზაფხული“), მთლიანად აღბეჭდილია ეროვნული თავისუფლების ნიშნით.

და ასედაც არის ლიტერატურისმცოდნეობაში მიღებული: ილი-

(დასასრული მე-7 გვ.).

(დასასრული)

ილია ჭავჭავაძე — საქართველოს სამეფოს აღდგენაზე მეოცნებე

ას შემოქმედების მკვლევარნი თვლიან, რომ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი ესწრაფვოდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. სამაგიეროდ ერთსულოვანნი არიან მისი ცხოვრების მომდევნო ეტაპების შეფასებაში და მიაჩნიათ, რომ არსებულ პოლიტიკურ ვითარებათა გამო მან თავის ლოზუნგზე უარი თქვა და მიემხრო საქართველოს ავტონომიას რუსეთის იმპერიის ფარგლებში.

მაგრამ, მართლა თქვა ილიამ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფაზე უარი და თვითონვე დაასამარა ჭაბუკობაშივე ჩასახული ოცნება? რეალური ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქმის ასე გამოდის: 1905 წელს იგი თავად იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელიც მოითხოვდა მსგავს ავტონომიას.

ხოლო, თუ ფაქტების მიღმა ილიას ჭეშმარიტ თვალსაზრისს ჩავწვდებით, მაშინ ცხადი გახდება, რომ ასეთი საქციელი მხოლოდ დროის შესაფერი დროებითი კომპრომისი იყო.

როგორც ილიას თანამედროვე, ექიმი და საზოგადო მოღვაწე ვასილ წერეთელი აღნიშნავდა: „ეროვნული ავტონომია არ მიაჩნდა ილიას საბოლოო იდეალად... ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ ილიამ პირველი რევოლუციის დროს ხელი არ მოაწერა ინტელიგენციის მიერ შედგენილ პეტიციას, რომელიც თავადაზნაურობის დეპუტატთა კრების სახელით უნდა წარედგინათ რუსეთის სათათბიროსათვის: ეს პეტიცია მოითხოვდა საქართველოსათვის ავტონომიას. **ილია კი სეპარატისტი იყო** (ხაზი ჩემია — ზ. ა.)" („მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე". გაზ. „ლიტერატურული საქართველო" 23/X 1987 წ.).

ესე იგი, თუ ილია სეპარატისტი იყო, მას 1905 წელსაც კვლავინდებურად სურდა საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფა და, ცხადია, არც თავისი მონარქიული შეხედულებები ექნებოდა დავიწყებული.

იმის თაობაზე, რომ ილიას არ შეუცვლია თავისი მსოფლმხედველობა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს ფრაგმენტი ნინო ნაკაშიძის მოგონებიდან, რომელიც 1905 წლის რევოლუციის პერიოდში არის ჩაწერილი. საუბრის გმირები არიან ილია ჭავჭავაძე, ნასაკირალის აჯანყების მონაწილე გლეხი გოგელია და საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე თამარ გრუზინსკაია — თავადაც ბაგრატიონი და მეუღლე ერეკლე მეფის შვილიშვილის, ირაკლისა. ილია აცნობს გურულს გრუზინსკაიას და ეუბნება:

„— თქვენ იცით, ეს კნეინა გრუზინსკაია, ჩვენი თავმჯდომარე, საქართველოს რომ თავის მეფე ჰყოლოდა, ახლა ჩვენი დედოფალი იქნებოდა.

გოგელიამ სწრაფად შეხედა გრუზინსკაიას.

— ოჰ, ბატონო, ეს რომ ჩვენი დედოფალი ბრძანებულიყო ერთ წლიწადს კიდევ მოვითმენდი, დავიცდიდი და რევოლუციას არ მოვახდენდი".

ამ ნაწყვეტში, გარდა ილიას სრულიად გარკვეული დამოკიდებულებისა საკითხისადმი, გურული გლეხის დადებითი პასუხიდან ჩანს ხალხის წიაღში ჩაბუდებული ოცნებაც თავის ქართველ ხელისუფალზე. დიალოგი შემდგომ ასე გრძელდება:

„ილიას გაეცინა და თქვა:

— რით არ არის ახლა ეს გურული გლეხი „светский" კაცი,

— და მიუბრუნდა ისევ გოგელიას:

— თქვენ, გურულებს არ გიყვართ მეფეები და თავადები...

— თქვენისთანები გვიყვარს ბატონო, თქვენი „კაკო ყაჩაღი" ჩვენ ყველამ ზეპირად ვიცით".

უკანასკნელი დიალოგიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ თუ მათ, გურულებს, რაღაც არ უყვარებიათ, რის გამოც ილია საყვედურით მიმართავს მოსაუბრეს, ესე იგი ის, რაც მათ არ მოსწონთ, ძვირფასია თვით ილიასათვის.

სამეფო ხელისუფლებისადმი ერთგულება ილიას იმდენად მიაჩნდა გამართლებულად, რამდენადაც მონარქიულ პრინციპს თვლიდა ერთადერთ საშუალებად რუსეთის ხელიდან სამშობლოს გამოსახსნელად. არჩილ ჯორჯაძისთვის მას ანდერძივით დაუბარებია:

„ახალმა თაობამ კარგად უნდა დაიმახსოვროს ერთი რამ. ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო." (არჩ. ჯორჯაძე, „ჩვენი საზოგადოებრივობა", თხზულებანი, წ. II გვ. 2239-224, 1911 წ.).

ამ უფლებების აღდგენა და დამკვიდრება კი, ცხადია, განახლებულ ქართულ სამეფოში უნდა მომხდარიყო. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ილიას დიდი თაყვანისმცემლისა და თანამოაზრის, იონა მეუნარგიას ერთი მოგონება. თავის მემუარებში ის წერს:

„საქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს მუდამ სწავლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

თვითონ ილიამ გვიამბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ დაებადა, დილაადრიან ჩემთან შემოიჭრა ბიჭი და ჩვენს შორის ამგვარი დიალოგი გაიმართაო:

— მომილოცავს, ბატონო!

— რა ბიჭო?

— ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას"

გარეგნულად ამ ეპიზოდში ილიას მოსამსახურის მაღალ შეგნებულობაზეა ლაპარაკი. მაგრამ დავუკვირდეთ, რა უხარია მას: ბაგრატიონების მემკვიდრის დაბადება. ვის ახარებს ამ ამბავს? — ილიას. მოსამსახურეს გულითაც შეიძლება ახარებდეს მომხდარი და თვალთმაქცობდეს კიდეც. მაგრამ რაც უცილობელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს — მას სურს ილიას ახაროს ეს ამბავი. ხოლო ვინ შეიძლება იყოს სამეფო გვარეულობაში მემკვიდრის გაჩენით გახარებული, თუ არ პიროვნება. სახელმწიფოებრიობისა და ტახტის აღდგენის მოსურნე!? ამრიგად, თუ ამ მოგონებათა ქვეტექსტებს გავაცნობიერებთ, მათში ილია ჭავჭავაძის მონარქისტული მისწრაფებების ამოკითხვაც მოხერხდება.

მაგრამ მონარქიაც არის და მონარქიაც. სახელდობრ, როგორ მონარქიაზე შეეძლო ეოცნება ილიას? თუ იმ საკითხში ნამდვილად შევთანხმდებით, რომ ილია უეჭველად ესწრაფვოდა საქართველოში სამეფო ხელისუფლების აღდგენას, მაშინ იმის ვარაუდიც შეიძლება გავწიოთ, რომ ეს უნდა ყოფილიყო არა ფეოდალური აბსოლუტური მონარქია, არამედ პარლამენტური, კონსტიტუციური მონარქია.

რა გვაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს? ჯერ კიდევ 1884 წელს ილის შესახებ საიდუმლო პოლიციის ანკეტაში იყო ასეთი ჩანაწერი:

«Поднадзорный Чавчавадзе Илья Григорьевич... известный в Грузии поэт, принадлежит к той группе либералов, кой желают добиться автономии Грузии и мечтают о грузинском парламенте». (ციტ. პრ. რატიანის შრომის მიხედვით).

თუკი ილია მართლაც ოცნებობდა ქართულ პარლამენტზე, ბუნებრივია, რომ ამ პარლამენტის საუკეთესო ფორმად მას მონარქიულ-პარლამენტური სახელმწიფო მიაჩნდა. ამას ადასტურებს მისი სიმპათიები ინგლისის პარლამენტის მიმართ, რომელიც ილიას ერთობ დიდ მოწონებას იმსახურებს, რადგან:

„მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები და თავისუფლებები შეუძლებელია აქ დარღვეული იქნას საზოგადოების თანხმობის გარეშე".

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მიღწევად უთვლის ინგლისის პარლამენტურ-მონარქიულ სახელმწიფოს იმ გარემოებას, რომ თუ პარლამენტში ორი პარტიაა, მთავრობა იქმნება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიისაგან. მაგრამ: „რომელს დასაც უნდა ეჭიროს სამინისტრო, ვიგები იქნებიან თუ ტორები, ინგლისში ისეთი შეურყეველი ჩვეულებაა, რომ თუ სამინისტროს კანონი და პროექტი არ მოუწონა პარლამენტმა და არ დაუმტკიცა, უნდა გადადგეს და სამინისტრო მეორე დასს დაუთმოს" (ტ. IX გვ. 197).

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ილიას მისწრაფებას საქართველოს სამეფოს აღდგენისაკენ და იმავე დროს მის სიმპათიებს ხელისუფლების თვითმმართველობის პარლამენტური საწყისებისადმი, უნდა ვიფიქროთ, რომ **კონსტიტუციური მონარქია იქნებოდა სწორედ ის ფორმა, რომელიც სრულად შეესატყვისებოდა ილიას იდეალს.** ერთის მხრივ ეს საშუალებას მისცემდა საქართველოს, მისი ყველა კუთხე და ყოველი წოდების კაცნი მოერიგებინა და გაეერთიანებინა ბაგრატოვანთა დროშის ქვეშ, ხოლო მეორეს მხრივ, პარლამენტარიზმის პრინციპი ქვეყანაში დააკანონებდა ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძვლებს. ამით საქართველო შეინარჩუნებდა ისტორიული, ტრადიციული ქვეყნის სახელსაც ცამეტსაუკუნოვან ბაგრატიონთა დინასტიით და მას შეერწყმოდა თანამედროვე პოლიტიკური ფორმაც, რაც შექმნიდა პირობას ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის.

ზურაბ ასკანელი

პირველი პუბლიკაცია მონარქისტული პარტიის გაზეთ „ძლევაიში". (№ 1, 1990 წ.)

„შესვენების შემდეგ" ანუ ინტერვიუ ავანსით

თვენახევარიღა რჩება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დაწყებამდე უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებიც მოუთმენლად და, როგორც ყოველთვის, იმედით მოელიან ახალ საფეხბურთო სეზონს. ჩვენს სარედაქციო ფოსტაშიც უამრავი წერილი დაგროვდა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, ცალკეული ფეხბურთელების უფრო ახლოს გაცნობაც აინტერესებთ. დღეს ვასრულებთ ზოგიერთ ჩვენი მკითხველის თხოვნას და გთავაზობთ ინტერვიუს **გია გურულთან**, რომელიც ერთწლიანი „შესვენების" შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თბილისის „დინამოს".

●

გია გურული — სპორტის ოსტატი, დაიბადა 1964 წლის 25 მაისს ქ. ჭიათურაში; 1981-88 წლების განმავლობაში გამოდიოდა თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში, სადაც ჩაატარა: სსრკ პირველობის 104 მატჩი (გაიტანა 19 გოლი), სსრკ თასზე—11(3), საერთაშორისო შეხვედრები — 45(12), მათ შორის ევროპულ საკლუბო ტურნირებზე — 6(1). 1989 წელს იცავდა ლანჩხუთის „გურიას" ღირსებას. წლევანდელი წლის იანვრიდან კვლავ „დინამოს" შემადგენლობაშია.

●

— გია, გვიამბე იმ გზაზე, რომელმაც დიდ ფეხბურთამდე მოგიყვანა.

— ფეხბურთის თამაში ჭიათურაში დავიწყე აწ განსვენებულ ზურაბ ბარათაშვილთან (ცნობილი ფეხბურთელის ლევან ბარათაშვილის მამასთან), სადაც 1974 წლამდე ვიყავი, მომდევნო წელს კი, 11 წლის ასაკში ჩავირიცხე გლდანის სპორტ-ინტერნატში, გურამ წიკლაურის ჯგუფში. სხვათაშორის, ამ სკოლა-ინტერნატიდან ერთდროულად 9 კაცი ჩავირიცხეთ 1981 წელს თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში.

●

— შემდეგ სეზონი, როგორც მახსოვს, ბათუმის „დინამოში" დაიწყე...

— თბილისელთა მაშინდელმა უფროსმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა გამოცდილების მისაღებად ბათუმის „დინამოში" გამგზავნა, სადაც, სხვათაშორის, სასტარტო შემადგენლობაში მიწევდა გამოსვლა. იმავე წელს, მაისის თვეში თბილისის „დინამოში" დავბრუნდი და ორი მატჩიც ჩავატარე ძირითად შემადგენლობაში.

●

მკითხველებს მინდა შევახსენო, თუ რა სიტუაცია იყო მაშინ ქართულ ფეხბურთში მთლიანად და კონკრეტულად თბილისის „დინამოში". ვარსკვლავების პლეადა უკვე თავის ბრწყინვალე სპორტულ კარიერას ამთავრებდა და ასპარეზი უნდა დაეთმოთ ახალი თაობისათვის. სწორედ 82-88 წლების მიჯნაზე „დინამოში" წამყვანი როლი უნდა ეთამაშათ 18-19 წლის ჭაბუკებს: გურულს, ბარათაშვილს, არზიანს, გოგრიჭიანს, დოჩიას, ლოგუას, მურჯიკნელს და სხვებს. ყველა ეს ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელი სხვადასხვა ასაკის ჭაბუკთა და ახალგაზრდული საკავშირო ნაკრებების შემადგენლობებში გამოდიოდა. თუმცა სჯობია ისევ გია გურულს მოვუსმინოთ:

●

— 1982 წელს მიმიწვიეს საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებოდა. ძალზედ ძლიერი ნაკრები იყო, თავად განსაჯეთ, მის შემადგენლობაში თამაშობდნენ ს. ჩერჩესოვი, პ. იაკვენკო, გ. ლიტოვჩენკო, ო. პროტასოვი, ს. დმიტრიევი, გ. დოჩია და სხვები. იმავე წელს დავეუფლეთ ჟოაო ავლანჟის სახელობის თასს, მაგრამ მომავალ, 1983 წელს მექსიკაში გამართულ ფინალურ ჩემპიონატზე ტრავმის გამო ვერ წავედი.

— ამის შემდეგ თუ მოგიწია ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში?

— იმავე წლის შემოდგომაზე, ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პორტუგალიაში ადგილობრივი ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშე და ის თამაში მოვიგეთ. სხვა დროს მოწვევა აღარც მომსვლია...

— გია, შემდეგი სამი — 1984, 1985, 1986 წლების განმავლობაში „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში არასტაბილურად გამოდიოდი. და ეს ეხება ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელს, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ.

— მართალია. 1984 წლის სეზონის გახსენებაც არ მინდა, ჩემი ბრალიც იყო... რაც შეეხება 1986 წელს კი, აქ თავდასხმაში ჩემს გარდა 5 ფეხბურთელი იყო: ვ. გუცაევი, რ. ჩელებაძე, რ. შენგელია, მ. მესხი და ვ. გაზაევი. თავდაპირველად ნოდარ ახალკაცმა ნახევარდაცვის ხაზშიც დამწია, რომ შორიდან მერტყა კარში, მაგრამ შემდეგ ისევ თავდასხმის ხაზში დამაბრუნა. ისე კი, მართლა არ დამავიწყდება იმ წლის დრამატული მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან", როდესაც ვაგებდით 2:3 შემდეგ ჯერ გავათანაბრეთ ანგარიში და შეცვლაზე შემოსულმა რეზო ჩელებაძის ბრწყინვალე პასის შემდეგ გამარჯვების გოლი გავიტანე...

— მომდევნო, 1987 წლის საფეხბურთო სეზონი, განსაკუთრებით კი შემოდგომის მატჩები, ალბათ დიდიხანს არ დაავიწყდებათ ქართველ გულშემატკივრებს. მე მხედველობაში მაქვს ევროპული ტურნირების მატჩები, სადაც „დინამოს" შემადგენლობაში 2 ფეხბურთელი ხელახლად „გავიცანით" — გია გურული და ახრიკ ცვეიბა. თუმცა სეზონის დასაწყისში კი საქმე სულ სხვანაირად იყო.

— ეგ წელი ჩემთვის ბევრი მოულოდნელობით იყო სავსე. მოსამზადებელი პერიოდი კარგად გავიარე, თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ მქონდა. უფრო ხშირად ფედერაციის თასზე და დუბლიორთა შემადგენლობაში მიწევდა გამოსვლა. ალექსანდრე ჩივაძის დიდი მორალური მხარდაჭერა რომ არა, გუნდიდანაც მივდიოდი. შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, უკვე ჩვეულ ადგილს ვიკავებდი თავდასხმის ცენტრში და ამ დროს კვლავ შეიცვალა გუნდის ხელმძღვანელობა — მთავარ მწვრთნელად მოწვეული იქნა გ. ზონინი.

— ფეხბურთის გულშემატკივრებში იმ დროს ხმები დადიოდა, რომ ზონინი გურულის მიმართ გარკვეული სიმპატიებით არის განწყობილიო?..

— არც მთლად მასე იყო საქმე... მოსვლის პირველსავე დღეს ზონინმა წაიკითხა გუნდის სია, მაგრამ რატომღაც მე და მერაბ ჟორდანია ამ სიაში არ აღმოვჩნდით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ გუნდიდან უნდა წავსულიყავით, თანაც ისე, რომ ზონინს არც ჩვენი თამაში ჰქონდა ნანახი და მისი ხელმძღვანელობით არც ერთი ვარჯიში ჩატარებული არ იყო. ვლადიმერ გუცაევს რომ ვკითხეთ ხომ არ გამოვრჩით, ზონინს ეთქვა. რომ იქით, ცალკე ივარჯიშონო... შემდეგ ერთ-ერთ ვარჯიშზე ჩემი დარტყმა მოეწონა და გუნდში დამტოვა.

— არადა იმ შემოდგომაზე შენც და ახრიკ ცვეიბაც მართლაც არცთუ ურიგო შთაბეჭდილებას ტოვებდით. მე, მაგალითად, ვერ დავივიწყებ სოფიის „ლოკომოტივთან" განმეორებით შეხვედრას თბილისში...

— იმ თამაშის არმოგება არ შეიძლებოდა. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კი ალბათ გულშემატკივრობა იყო — მთელი ორი ტაიმის განმავლობაში ხალხი არ გაჩერებულა და ჩვენც ვითამაშეთ. შეიძლება იმანაც იმოქმედა, რომ პირველსავე წუთზე რამაზ შენგელიამ პენალტი ვერ გამოიყენა. ამან უფრო მობილიზებული გაგვხადა თითოეული ჩვენთაგანი და ეს მატჩიც დიდი ანგარიშით — 3:0 მოვიგეთ.

●

გია გურული არაფერს ამბობს მის მიერ ბრწყინვალედ გატანილ მეორე გოლზე, რომელიც შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა. მესამე ბურთიც, რომელიც დინამოელთა კაპიტანმა ალექსანდრე ჩივაძემ გაიტანა თავური დარტყმით, მისი უზადო გადაცემით იყო მომზადებული.

— შემდეგ იყო მატჩები „ვიქტორიასთან" და რაღა თქმა უნდა — „ვერდერთან"...

(დასასრული მე-8 გვ.)

„თან წაიღო ოცნება“

წავიდა ჩვენგან ყმაწვილი კაცი, რომელიც თავის სათქმელს სულ მალე ხმამაღლა იტყოდა. იგი ახლებური სკოლის შენების დიდ საქმეს ძნელ პირობებში შეუდგა, მაგრამ საოცარი სიხალისით, რადგან იცოდა, როგორი აღზრდა გამოადგებოდა კაცს მომავალ საქართველოში. ამისათვის იგი სერიოზულად ემზადებოდა.

ვაკო დვალიშვილი 25 წლისა იყო. იშვიათად შემხვედრია ახალგაზრდა ჰუმანიტარი თანაც ამ ასაკისა, რომელსაც ასე დაჯერებით შეიძლებოდა სცოდნოდა თუ რატომ უნდა მიეღო ქართულად აღზრდილ კაცს საფუძვლიანი ევროპული განათლება. თვითონვე იყო ამისი საუკეთესო ნიმუში: იენის უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობისა და ანგლისტიკას ეუფლებოდა, იყო გერმანული ენის არა თუ ღრმა მცოდნე, მისი პოეტური ძალის შემგრძნობიც. იცოდა ევროპული კულტურის ნამდვილი ორიენტაცია და კარგი სპეციალისტი იყო გერმანული ლიტერატურისა.

ქართული მწიგნობრობის ჭეშმარიტი ფასი იცოდა და, რაც მთავარია, დედაენის უდაო მნიშვნელობა ესმოდა. როგორც ნამდვილ ინტელიგენტურ ოჯახში აღზრდილს, მშობლიური ენა მიაჩნდა პიროვნების უპირველეს და აუცილებელ საფუძვლად, ამიტომაც სკოლის აგებაში ამგვარ პროექტებს მხურვალედ უჭერდა მხარს, მეტიც, მოითხოვდა სხვათა ენის რაც შეიძლება გვიან დაწყებას და ამის განხორციელებას კიდევაც ფიქრობდა თბილისის მე-6 ქართული სკოლის იმ ახალ შენობაში, სადაც მან ბოლო მერხები და მაგიდები თავისი ხელით ააწყო, მასავით გახალისებულ ახალგაზრდა მასწავლებელთა და მასზე ოდნავ უმცროს მოწაფეებთან ერთად.

იყო უკომპრომისო, ზოგჯერ შეუპოვარიც, ურთიერთობაში პირდაპირობისა და მაღალი მორალის დამცველი. სრულიად მიუღებელი იყო მისთვის კონფორმიზმი, იმ შეფარული ფორმითაც კი, რასაც ზოგჯერ ქართველი კაცის ქცევაში ასე ადვილად ვერ ამოიცნობ და რასაც, თუ დროზე არ მივხედავთ, საქართველოს შიგნიდან დაშლით ემუქრება. იგი ამას ხედავდა და ვერაფრით ვერ ეგუებოდა. სულით ხორცამდე მართალი კაცი, იყო ნამდვილი დემოკრატი და მის პირდაპირობას მხოლოდ ეს საფუძველი ედო.

როცა მას შივაგენი, ჩემზე ბედნიერი მაშინ არავინ იყო: ეს დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა, გერმანიიდან ახალდაბრუნებული, მაგონებდა იმ პირველ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც გერმანიის უნივერსიტეტებიდან უბრუნდებოდნენ სამშობლოს. იგი მაშინვე ასპირანტად ავიყვანე და შევთავაზე სწორედ ისეთი თემა სადისერტაციოდ, რომლის დამუშავებას სხვა ასე ადვილად ვერც შეძლებდა და რაზედაც მე დიდი ხანია ვოცნებობდი. ეს იყო გრიგოლ რობაქიძის ენის ფენომენი! ამოცანა, რომელიც მნიშვნელოვანია დღევანდელ ვითარებაში (და იყო ყოველთვის), ასე ჩამოვაყალიბეთ: რობაქიძე, ქართული სიტყვის ეს საოცარი ოსტატი, ისე ღრმად შეიჭრა ქართული ენობრივი ცნობიერების უმთავრეს შრეებში, რომ მისი ზოგი საიდუმლოც გადმოგვიშალა. სრულიად გაითავისა შემდგომ გერმანული ენობრივი აზროვნების სტილი და ისე ჰქონდა უკვე „ნაგზხები“ (ეს რობაქიძისეულია) გერმანული სიტყვის ძალა, რომ ამიერიდან არათუ ქართული, მისი გერმანულიც სრულიად ახლებურ ელვარებას გამოსცემდა... სწორედ ეს საიდუმლოება უნდა ამოგვეცნო! ამით, მოგეხსენებათ, ბევრი სადღეისო საკითხი წყდებოდა. იგი შეუდგა იმ თეორიული მოძღვრების გაცნობას, სადაც ენის მსოფლმხედვის ღრმა იდეაა გამოთქმული. გულმოდგინედ ჩაუჯდა არქივებს გერმანიაში რობაქიძეზე მასალების მოსაძიებლად.

ვიმეორებ: არ იყო ადვილად საპოვნი ისეთი ახალგაზრდა კაცი, ვინც საამისოდ მოიცლიდა და ამ დიდ ამოცანას ასეთი ცოდნითა და ჭაბუკური ენერგიით შეეჭიდებოდა. ვაკო დვალიშვილმა თან წაიღო თავისი ეს განუხორციელებელი ოცნება!

როცა ჩნდებოდა კითხვა: „მომავალი საქართველო ვინ უნდა ააშენოსო?“, ყოველთვის მქონდა დამაიმედებელი პასუხი, რადგან ერთ ასეთ კაცად ვ. დვალიშვილი მეგულებოდა!

გურამ რამიშვილი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე.

„შესვენების შემდეგ“
ანუ
ინტერვიუ ავანსით

(დასასრული)

●

— ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: როცა ბრეძენში ჩავედით, ერთ-ერთ იქაურ გაზეთში სპეციალისტების პროგნოზები იყო გამოქვეყნებული. თითქმის ყველა ვარაუდობდა, რომ „ვერდერი“ გაიმარჯვებდა დიდი ანგარიშით და თანაც მოყვანილი იყო ანგარიშები: 5:1, 4:0, 6:1 და სხვა. მხოლოდ ბოლოში იყო ერთგან 2:1. ივეხ დასაკარგი არაფერი გვქონდა, უხდა გვეთამაშა. თუ კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი აგებს 2:6-ს, (იგულისხმება მოსკოვის „სპარტაკი“) ჩვენ არავინ დაგვძრახავდა, რომ წაგვეგო. პირველი 20 წუთის შემდეგ ანგარიში კი უკვე 2:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ, მაგრამ იქვე რამაზ შეხგელიამ მეტად საჭირო ბურთი გაიტანა. ამ გოლს ხამდვილად ვერ დავივიწყებ. ოთარ გაბელიამ კარიდან დაარტყა ბურთი, ცენტრში მაღალი ბურთისათვის მე და თუ არ ვცდები, ტანმაღალი მცველი ბრატსეტი ვიბრძოდით, მე თავით გადავუგდე ბურთი უფრო წინ რამაზ შენგელიას და მახაც „თავისი“ საქმე გააკეთა.

●

— მომდევნო, 1988 წელს გუნდმა არცთუ ურიგოდ აიღო სტარტი, სახლში ორი გამარჯვება, შემდეგ ორ გასვლით მატჩში დამარცხდნენ, თუმცა მინიმალური ანგარიშით, მაგრამ გუნდი თანდათან სატურნირო ცხრილში უფრო ქვევით ეშვებოდა. გია, შენ 8 ტურის შემდგ 8 გატანილი გოლით ბომბარდირთა სიაში პირველ ადგილზე იყავი. შემოდგომაზე თითქოს სხვა გუნდი იყო, გაზაფხულზე კი სხვა.

— მე ფეხბურთელი ვარ და მწვრთნელთა საქმეებში ჩარევას არ ვაპირებ, მაგრამ ყველაფერი ჩემი აზრით მაინც მოსამზადებელი პერიოდის ბრალია. ალბათ, გახსოვთ, რომ სეზონის წინ ტურნე გვქონდა ალჟირში, სადაც საშინელ პირობებში გვიხდებოდა თამაში. ფაქტიურად იქ მინდორზე არც გვითამაშია — ვთამაშობდით ასფალტზე, ყინვაში, თოვლში და ა. შ. ამან ძალიან ბევრი რამ დააკარგინა გუნდს.

●

ისე აეწყო, რომ გია გურული და მოსკოვის „ტორპედო“ ერთმანეთთან „მჭიდროდ“ არიან დაკავშირებულნი. ზემოთ ჩვენ ვახსენეთ 1986 წლის მატჩი, აქვე უნდა გავიხსენოთ 1987 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარებული მატჩი „ტორპედოსთან“, სადაც დინამოელებს ჰაერივით სჭირდებოდა ქულა მაინც. ამ მატჩში გია გურულმა ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანა, მაგრამ მაშინ, როცა ანგარიში 2:0 იყო მეტოქეთა სასარგებლოდ, გია გურულმა ორჯერ მოუგო საჰაერო დუელი ტორპედოელთა მეკარე დიმიტრი ხარინს და მისი გადაცემების შემდეგ ის სანუკვარი ქულა მოიპოვეს დინამოელებმა. ხოლო 1988 წლის 4 ნოემბრის მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“ მისთვის ფრიად არასასიამოვნოდ დამთავრდა. თუმცა, სჯობს ისევ გია გურულს მოვუსმინოთ:

●

— ანგარიში სტუმრებს მიყავდათ. ძალზე ვნერვიულობდი, რადგან ტორპედოელები უხეშობდნენ და ყველა ღონეს ხმარობდნენ ანგარიშის შენარჩუნებისათვის. მე მაშინ თამაშის დამთავრებამდე 20-25 წუთით ადრე გამოვედი მოედანზე. თითქმის პირველივე ცდა ბურთის მიღებისა დამთავრდა იმით, რომ მოედნიდან გამაძევეს... მაღალ ბურთზე ავხტი, რომ თავით მეთამაშა, იქვე მოსკოველთა მცველი პრიგოდა ჰაერშივე მირტყავს იდაყვს სახეში და თვითონ ვარდება. მე კი თავი ვერ შევიკავე და სახეში დავარტყი...

●

ამის შემდეგ თუ რა მოხდა, ეს ალბათ ყველას კარგად ახსოვს. მოსკოვში, სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ გურულს 5 თამაშით დისკვალიფიკაცია გამოუტანა. გადის რამდენიმე ხანი, თბილისში ისმის ხმები, რომ იგი გუნდიდან გარიცხულია. იქვე გაზეთ „ლელოში“ იბეჭდება გია გურულის ბოდიშის მოხდის წერილი, მაგრამ ამაოდ. ის კი არა, თუ იგი არ ითამაშებს ბათუმის „დინამოში“, სადაც მას აგზავნიან, - მას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოელის. მაგრამ გურული ლანჩხუთის „გურიაში“ აღმოჩნდება და შარშანდელი სეზონი, გატარებული ამ საინტერესო კოლექტივში, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა მის სპორტულ ცხოვრებაში.

●

— ცოტა შორიდან მოვუვლი და ერთ რამეს ვიტყვი, რომ იქ ცოტა სხვანაირი დამოკიდებულებაა ფეხბურთის მიმართ. მე არავის არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ის ატმოსფერო და ნდობა, რაც გუნდში სუფევდა, ეს მართლაც მისაბაძია ყველასათვის. ასევე თითოეული ფეხბურთელის თავის საქმისადმი მიდგომა — ეს სუფთა პროფესიონალიზმია. მხოლოდ ეს ტერმინი შეიძლება მიუსადაგოთ მიხეილ ფომენკოს შრომასაც. ის არავის პირად საქმეში არ ერევა, შენ რაც გინდა ის გააკეთე, მთავარია ის, რომ ყველაფერს ის ვარჯიშზე და თამაშის დროს მოგთხოვს. ხოლო, რაც შეეხება მოსახლეობას, ეს ალბათ ცალკე სასაუბრო თემაა, ყველა სიყვარულით და სითბოთი არის განმსჭვალული ფეხბურთელების მიმართ.

●

— გია, რახან საუბარი ამ თემაზე ჩამოვარდა, ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარზე რას იტყვი?

— არ მიწყინონ თბილისელმა გულშემატკივრებმა, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა, რომ ლანჩხუთში სტადიონზე გინებას ვერ გაიგონებს კაცი. სწორედ აღნიშნა მ. ფომენკომ, როცა ლანჩხუთელი ფეხბურთელების წარმატებაში ერთ-ერთი მთავარი როლი მაყურებელს, ანუ მე-12 ფეხბურთელს მიაკუთვნა. ისე კი, მინდა ვუთხრა ფეხბურთის გულშემატკივარს, რომ ყველა ფეხბურთელს მოედანზე ესმის მაყურებლის მიერ წარმოთქმული უწმაწური სიტყვა და ამით ის უფრო იძაბება. რაღა თქმა უნდა, 1981 წლის შემდეგ მომთოვნი ქართველი გულშემატკივარი მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს, მაგრამ ის ნუ ავიწყდებათ, რომ მაშინ „დიდი ფეხბურთელები“ გვყავდა „დინამოში“. ისე კი, მჯერა, დღევანდელი „დინამოს“ ახალგაზრდებიდან რამდენიმე არ შეიძლება დიდი ფეხბურთელი არ გამოვიდეს.

●

შარშანდელი სეზონი მის ბიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იგი „გურიაში“ თავდასხმის ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა და ამის დასტურადაც 18 გატანილი გოლიც კმარა. მისმა ბრწყინვალე თამაშმაც თავისი წვლილი შეიტანა „გურიას“ საპატიო მიზნის შესრულებაში. და, ზოგიერთისათვის მაინც მოულოდნელი იყო მისი და „გურიის“ გუნდის კაპიტნის ბადრი დანელიას „დინამოში“ დაბრუნება.

●

— ჩემი კონტაქტი ლანჩხუთის „გურიასთან“ ერთწლიანი იყო, სეზონის ბოლოს თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობის თხოვნით გუნდს დავუბრუნდი...

— გია, შენი ადრინდელი ბოდიშის მოხდაც და „დინამოში“ დაბრუნებაც ერთ რამეზე მეტყველებს — შენ „დინამოს“ მიმართ ფანატიკური სიყვარული გამოძრავებს, მაგრამ მაინტერესებს, თუ ითამაშებდი წლევანდელ სეზონში „გურიას“ შემადგენლობაში რომ ყოფილიყავი, თბილისში „დინამოს“ წინააღმდეგ?

— აუცილებლად! აქ არავითარი წყენა არ იქნებოდა, ეს უბრალოდ პროფესიონალიზმია. ასევე ვითამაშებ წელს „გურიას“ წინააღმდეგ. აქ არავითარი პირადული ინტერესები საერთო საქმეზე წინ არ უნდა დააყენო...

— გია, შენ თავდამსხმელი ხარ, ალბათ გყავს იდეალი ფეხბურთში და კიდევ გვაინტერესებს, რომელ სტილს ანიჭებ ფეხბურთში უპირატესობას? – ვინ გაიმარჯვებს იტალიაში?

— სტილს შეიძლება სამხრეთ ამერიკულს ვაფასებდე, მაგრამ დღესდღეობით მათ ძალიან გაუჭირდებათ ევროპული გუნდების შეჩერება. ჩემპიონატის ფავორიტად ჰოლანდიის ნაკრები მიმაჩნია, თუმცა კი გულიტის გარეშე ძალზედ გაუჭირდებათ. რაც შეეხება ფეხბურთში იდეალს, აქ პელეზე წინ ვერავის დავაყენებთ. ჩემი აზრით, მან ფეხბურთს ოდნავ წინ გაუსწრო. თანამედროვეებიდან კი გულიტი მიმაჩნია საუკეთესოდ. იგი მოედანზე მაშინაც ჩანს, როცა იგი არ თამაშობს...

— ცენტრალური თავდამსხმელის მთავარი მოვალეობა გოლების გატანაა, რითაც შენ ვერ დაიტრაბახებ. მაპატიე, ასეთი პირდაპირი კითხვისათვის, მაგრამ, რაშია საქმე?

— იცით, არ ვიცი, რა მემართება ხოლმე. ხანდახან მქონია კარგი საგოლე მომენტი, მე კიდევ უფრო უკეთესს ვეძებ და ამ ცდაში არაფერი გამოდის და ის მომენტიც იკარგება. შემდეგ უკვე, ირკვევა, რომ ის პირველი ვარიანტი ყველას სჯობდა, იმედია, წელს ამ ნაკლს გამოვასწორებ.

— გია, ხომ არ გინანია, ფეხბურთი რომ აირჩიე?

— არა, არც გამიფიქრებია. მე ფეხბურთმა ბევრი რამ მომცა. პირველ რიგში უამრავი მეგობარი შემძინა. მოწუწუნე კაცის შთაბეჭდილება ნამდვილად არ მინდა დავტოვო, მაგრამ საზღვარგარეთ ფეხბურთელს გუნდში რომ იღებენ, პირველ რიგში მანქანით და ბინით აკმაყოფილებენ. აქ კიდევ, ჯერ უნდა ითამაშო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იფიქრო ამ „ფუფუნებებზე“. ფეხბურთელმა ყოველგვარ ფიზიკურ დატვირთვას შეიძლება გაუძლოს, მაგრამ, როცა საკუთარი კერა არ აქვს და სხვა ცხოვრებისეული პრობლემები აწუხებს, ეს მის ფსიქოლოგიაზე გარკვეულწილად მოქმედებს. მე, მაგალითად 1984 წელს მოვიყვანე ცოლი და 3 წლის განმავლობაში აქეთ-იქით დავდიოდი 2 ბავშვით, სანამ 1987 წლის ბოლოს კახა ასათიანი არ დამეხმარა... რაც შეეხება მანქანას, რომელიც, ზოგიერთების აზრით, ყოველ დინამოელს ჰყავსო, იგი მხოლოდ 1988 წლის მარტში მომცეს (ე. ი. 7 სეზონის შემდეგ — გ. ტ.).

— გია, შენ ოჯახიც ახსენე, თუ შეიძლება გაგვაცანი უფრო ახლოს შენი ოჯახის წევრებიც.

— სიამოვნებით. მეუღლე — ხათუნა უკვე ისეა გარკვეული ფეხბურთის ნიუანსებში, რომ ხშირად მატჩების შემდეგ ჩემი მონაწილეობით ამა თუ იმ ეპიზოდს საგულდაგულოდ არჩევს. 5 წლის სანდრიკა თავის თავს უკვე ვან ბასტენს ეძახის... ასაკთან შედარებით ძალზედ ძლიერი დარტყმა აქვს, ამით მამას ჰგავს და სიმღერით კი ბაბუას... რაც შეეხება 2 წლის ნათიას, ის ჯერჯერობით სუსტად ერკვევა ფეხბურთის ნიუანსებში...

— გია, წლევანდელ სეზონში „დინამოს“ პერსპექტივას როგორ უყურებ?

— ზემოთაც აღვნიშნე და კიდევ ვიმეორებ, რომ ამ გუნდმა დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ალბათ ეს დროც მალე მოვა, ხოლო რაც შეეხება წლევანდელ სეზონს, გუნდში ძალზედ კარგი ატმოსფეროა და შევეცდებით, რომ მაღალი ადგილებისათვის ვიბრძოლოთ, რისთვისაც თავს არ დავზოგავთ.

გია გურულის ამ უკანასკნელ სიტყვებში, ისე როგორც სხვა ზემოთ გამოთქმულშიც, ეჭვი არ მეპარება.

ესაუბრა გია ტუხაშვილი.

ზურაბ გენგიურის ფოტო.

განცხადება

„სრულიად საქართველოს სადროშო „ლემ“-ის ნაფიცთა საბჭო მოგმართავთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიურ აფხაზეთში დალის სვანეთი, მისი განუმეორებელი გმირული წარსული, მხარში ამოგვიდგეთ მაღალმთიანი სოფლების აღორძინებისა და შავი ზღვისპირეთის ძირძველ ქართულ მიწაზე მრავალშვილიანი ოჯახების დაფუძნების საქმეში“.

სადროშოს ცენტრია:

აფხაზეთი, გულრიფშის რაიონი.

ანგარიშის № 70092.

გულრიფშის აგროპრომბანკი.

დირექტორი, სადროშოს ნაფიცთა საბჭოს წევრი ა. ა. მარგიანი.

რედაქტორის მოადგილე
გიგლა გოგერია

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სტამბა, [illegible], თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
კორექტორი, [illegible] 1 2 [illegible] 5 6 7 8 9 10 11 12 13
უე 00138